საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, ცოგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 14 მარტი. 2023 წ. №30 (9562) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ქუდზე კაცი ზექართული მთავრობის დასაცავად!

სიმართლის მთქმელ პრემიერს ცხენიც „შეკაზმული“ ჰყავს და მილიონზე მეტი მხარდამჭერიც!

ირაკლი ღარიბაშვილის ექსკლუზიური ინტერვიუ ტელეკომპანია „იმედთან“

კანონპროექტის გაწვევა გონივრული გადაწყვეტილება იყო, არავის მივცემთ დესტაბილიზაციის უფლებას!

კანონპროექტის უკან გაწვევის გადაწყვეტილება ამ ვითარებაში სახელმწიფოებრივად ყველაზე სწორი და გონივრული იყო. ერთი მხრივ, ვაჩვენეთ, რომ არავის მივცემთ დესტაბილიზაციის მოწყობის უფლებას, მეორე მხრივ, ვთქვით, რომ ვიცოდით მათი ძალიან ცუდი გეგმების შესახებ! ოპოზიციის ამოცანა იყო ქაოსი, მუდმივი დესტაბილიზაციის შენარჩუნება, არეულობა და მათ შეიძლებოდა, რამდენიმე ახალგაზრდა თავადვე მოეკლათ“. ხელისუფლება კანონპროექტის გაწვევით გაუფრთხილდა ქვეყნის სტაბილურობასა და მშვიდობას.

იხ. 2-3-4 გვ.

...მივმართავ ჩვენს სტუდენტებს, გიყვნებენ ეს პოლიტიკური, ხელმოცარული, გაკოტრებული ადამიანები, გატყუებენ, რომ „ოცნებას“ არ უნდა ევროპული გზა. მე ფაქტები მოგიყვანეთ, ფაქტები მოიყვანონ „ნაცმოძრაობის“, ამ ფაშისტური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რა გააკეთეს მათ ევროპულ გზაზე!..

არ დაუჯერო პოლიტიკურად ანგაჟირებულ ჯგუფებს!

4



ახალი „სახალხო დამცველი“ აბსოლუტურად მიკერძოებით და ძველი დოგმებით აზროვნებს!

5

აკაკის (ცხელ-ცხელი) ამბები და დღევანდელობა

7



თბილისის უნივერსიტეტმა გრანტი მოიპოვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია ტეხასის უნივერსიტეტის ქალაქ დალასის (აშშ) ეკონომიკის, პოლიტიკისა და პოლიტიკის მეცნიერებათა სკოლის დეკანს ჯენიფერ ჰოლმსსა და ვიცე პროვოსტს გლობალურ ურთიერთობებში, განათლების უმაღლესი სკოლის დეკანს, მოლეკულური ბიოლოგიის პროფესორს ხუან გონსალესს შეხვდა, – ამის შესახებ ინფორმაციას უნივერსიტეტის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, თსუ-მა და ტეხასის უნივერსიტეტმა დალასში (აშშ) ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი გრანტი მოიპოვეს.

„სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტი ითვალისწინებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერას, მათი კვლევითი და აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობას.

შეხვედრაზე თსუ-ის რექტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა თსუ-ის სტრატეგიული პრიორიტეტია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაქსიმალურად ეცდება, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტის ფარგლებში ამერიკულ უნივერსიტეტებთან ურთიერთობა გრძელვადიან ურთიერთობად გადააქციოს.

გია მურღულია:

გაიხედეთ გარეთ, რა კარგი ამინდია!..

იხ. 7 გვ.

ირაკლი ღარიბაშვილის ექსკლუზიური ინტერვიუ ტელეკომპანია „იმედთან“

(პირველი გვერდიდან)

60-მდე პოლიციელია დაშავებული, რამდენიმე ლამის ცოცხლად დაიწვა, ამას ვის ვაპატიებთ?!

ახალგაზრდები, რომლებიც სცენაზე იდგნენ, ყველანი იყვნენ დაკავშირებული „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ან მათ სატელიტ ორგანიზაციებთან, 60-მდე პოლიციელია დაშავებული, რამდენიმე პოლიციელი ლამის ცოცხლად დაიწვა, ჩვენ ამას ვის ვაპატიებთ?! ყველა ეს ადამიანი უმკაცრესად იქნება დასჯილი!

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მიხეილ სა-

ქუდზე კაცი ზექართული

აკაშვილის დედის გიული ალასანიას უნივერსიტეტში დააარსეს ე.წ. „ფრანკლინის კლუბი“, სადაც ახალგაზრდების ტვინის გამორეცხვა მიმდინარეობს.

პრემიერ-მინისტრის თქმით, აქციაზე „ფრანკლინის კლუბის“ ახალგაზრდები და ზურაგ ჯაფარიძის „გირჩის“ წევრები ყველაზე მეტად პროვოკაციულად და გამომწვევად იქცეოდნენ და მათ დავალება ჰქონდათ მიცემული, რომ შესულიყვნენ პირდაპირ დაპირისპირებაში სპეცდანიშნულების რაზმებთან, პოლიციასთან.

ნურავის ექნება ილუზია, რომ ეს ახალგაზრდები, რომლებიც სცენაზე იდგნენ და სათითაოდ ვიცით, ვინ ვინ არის, ესენი ყველანი იყვნენ დაკავშირებული „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ან მათ სატელიტ ორგანიზაციებთან, იქნებოდა ეს „ევროპული საქართველო“, „გირჩი“, ვაშაძის პარტია და სხვები. ასევე, ერთ-ერთი საინტერესო – უკვე გამოიკვეთა ე.წ. „ფრანკლინის კლუბის“ ახალგაზრდების მონაწილეობა, რომლებსაც წამლავენ, პირდაპირ უნდა ითქვას ამის თაობაზე. მე არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო ან, მეორე მხრივ, გამოძიებას ხელი შევუშალო, მაგრამ ეს არის პირდაპირი ანტისახელმწიფოებრივი, ძირგამომთხრელი საქმიანობა. ძალიან ბევრ ახალგაზრდას, მათ შორის მოსწავლეებს, ურეცხავენ ტვინს ამ ე.წ. ფრანკლინის კლუბში. ახლა რა ხდება „ფრანკლინის კლუბში“ და სად არსებობს აღნიშნული კლუბი. ეს კლუბი არის შექმნილი სააკაშვილის დედის გიული ალასანიას უნივერსიტეტში!...

ვიქნებით უკომპრომისონი!

...გახსოვთ, სააკაშვილი პირდაპირ ისწრაფვოდა გრძელვადიანი მმართველობისკენ. ათასი იდეა ჰქონდა, ხან სინგაპურიზაცია უნდოდა, დღითი დღე გვაშორებდა ევროპას. მე არ მახსოვს მაშინ ამ ადამიანების პროტესტი, საერთოდ ესმოდათ ევროპული იდეის მნიშვნელობა? არც ერთი ადამიანი არ იყო, რატომ? – აღნიშნა ღარიბაშვილმა. მთავრობის მეთაურის თქმით, თავად საუბრობს ფაქტებით, რა გააკეთა ხელისუფლებამ ევროპული ინტეგრაციის გზაზე, განსხვავებით „ნაცმოძრაობისგან“. „გვარამია, რომელიც დღეს წარმოჩენილია მედიამენეჯერად, იყო პროკურორი, რომელმაც თქვენი ტელევიზია, „იმედი“ წაგართვათ.

ამიტომ, ჩვენო მეგობრებო, თანამოქალაქენო, ნაკლები ემოციები გვჭირდება დღეს. ძალიან რთული დროა, მგონი, კიდევ ვერ ვხვდებით, სად ვართ, კიდევ ვერ ხვდებიან ადამიანები, სად არიან. შეხედეთ, რა ხდება უკრაინაში, 20 პროცენტი არის უკვე ოკუპირებული, 20 პროცენტი. ამბობენ, რომ 800 მილიარდიდან 1 ტრილიონ დოლარამდე ზარალი აქვს მიყენებული უკრაინას. უკრაინის GDP რამდენია – 200 მილიარდი იყო. 800 მილიარდი, სულ მცირე, უკვე არის ზარალი. ამ ქვეყანას რა დააყენებს ფეხზე.

უკრაინის 20 მილიონი მოქალაქე არის მიგრაციაში. ეს ტრაგედიაა, საშინელება ხდება უკრაინაში. ადამიანები, ვინც ეს ყველაფერი იცი-

სიმართლის მთქმელ პრემიერს ცხენიც „შეკაზმული“ ჰყავს და მილიონზე მეტი მხარდამჭერიც!

ან, ცდილობენ, ჩვენს დალაგებულ, დაწყნარებულ ქვეყანაში შემოიტანონ დესტაბილიზაცია და ომი. ვიქნებით უკომპრომისო, ჩვენს ხელთ არსებულ ყველანაირ საშუალებას გამოვიყენებთ, რომ არც ერთი ასეთი ადამიანის ქმედება არ დარჩეს პასუხგაუცემელი.

ჩვენ ვეუბნებით მათ, ნუ გახდებით მანიპულირების ობიექტი და ვიღაც პოლიტიკური პარტიების ხელში ბრძოლის ინსტრუმენტი, თქვენ გიყენებენ, მივმართავ ჩვენს სტუდენტებს, გიყენებენ ეს პოლიტიკური, ხელმოცარული, გაკოტრებული ადამიანები, გატყუებენ, რომ „ოცნებას“ არ უნდა ევროპული გზა. მე ფაქტები მოგიყვანეთ, ფაქტები მოიყვანონ „ნაცმოძრაობის“, ამ ფაშისტური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რა გააკეთეს მათ ევროპულ გზაზე. არაფერი გაუკეთებიათ. ვიზალიბერალიზაციაზე მუშაობა არ დაიწყეს, სამი წელი გადადეს, ჩვენ დავიწყეთ, ასოცირება ჩაგდეს. შესაბამისად, შეიქმნა ეს მითი, ეს სიყალბე. მათ შორის, ძალიან ბევრი ნაცნობი ოჯახის წევრები აღმოვაჩინე აქციაზე, ძალიან ბევრმა დამირეკა, ბოდიში მომიხადა, მართლა მეგონა, რაღაც ხდებოდაო. ადამიანი იმიტომ არის გონიერი და იმიტომ განვსხვავდებით ცხოველებისგან, რომ ჩვენ გვაქვს გონება. უნდა შეგვეძლოს ანალიზის გაკეთება, თეთრის და შავის გარჩევა. თუ ეს არ შეგვიძლია, პრეტენზია აღარ უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ გვინდა ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, ამაზე ვიფიქროთ!

ჩვენი შვილები ნებსით თუ უნებლიეთ არ უნდა იყვნენ დიდ შეთქმულებაში ჩართული!

დესტრუქციული, ანარქისტული მოძრაობის წევრების გარდა, იქ იყო ძალიან ბევრი გულანთებული მოსწავლეც, ბევრი სტუდენტიც, მაგრამ არა ასეთი აგრესიული, მშვიდად იდგნენ და აპროტესტებდნენ, უბრალოდ, მხარს უჭერდნენ ევროპის იდეას...

მინდა, კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩემი პოზიცია, რომ ეს ადამიანები, ჩვენი თანამოქალაქეები, ჩვენი შვილები, ჩვენი დები და ძმები არ უნდა იყვნენ ამ დიდ შეთქმულებაში ნებსით თუ უნებლიეთ ჩართულნი!.. ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილმა ახალგაზრდებს მიმართა, რომ ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე რეალური, ხელშესახები პროგრესი სწორედ „ქართული ოცნების“ დროს დაიწყო.

ვიდრე „ქართული ოცნება“ არის ხელისუფლებაში, არ დავუშვებთ მეორე ფრონტს!

...ვიცი, რომ უკრაინიდან რამდენიმე ათეული ადამიანი ჩამოვიდა. მინდა, მათ მივმართო – მათაც ნუ ექნებათ რაღაც ილუზია და განცდა, რომ აქ რაღაც მოხდება. არაფერი მოხდება, ჩემო ძმებო. მინდა, ყველას, ყველა ადამიანს, რომელიც დღეს უკრაინაში იბრძვის, ვუსურვო მშვიდად დაბრუნება, მშვიდობიანი დაბრუნება საკუთარ ოჯახებში. ნუ დაიდებენ საშვილიშვილო ვალს და საშვილიშვილო ცოდვას ნუ ჩაიდენენ.

ნუ აჰყვებიან ამ ბინძურ პროვოკატორებს და ნუ ჩაერთვებიან ამ პროვოკაციაში. მე ვიცი ძალიან ბევრი, ჩვენ ვიცით იმაზე მეტი, ვიდრე მათ წარმოუდგენიათ. მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა – სახელმწიფო დღეს არის მოწოდების სიმაღლეზე. ამიტომ დავაფიქსირე თავიდანვე ჩემი აზრი, რომ დღეს სახელმწიფომ გამოიჩინა სიმტკიცეც და გონიერებაც. მეორე მხრივ, ვიდრე „ქართული ოცნება“ არის ხელისუფლებაში, ჩვენ აქ არ დავუშვებთ მეორე ფრონტს. ეს არის გამორიცხული. ამაზე არავინ უნდა ფიქრობდეს, ილუზია არავის ჰქონდეს, ნურც ამ ადამიანებს. სამარცხვინო იყო.

თუ ამბობ, ერთი მხრივ, რომ ხარ მეომარი და სამხედრო კაცი ხარ, კიდევ მინდა, გავიმეორო, ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას და ყველა დააბრუნოს ღმერთმა მშვიდობიანად თავის სახლში; რომ გამოდიხარ პოლიტიკურ აქციებზე რაღაც სიტყვებით, ეს რა უბედურებაა, რა ხდება საერთოდ. მაშინ უნდა თქვან, რომ ესენი არიან პოლიტიკოსები. ხომ იყვნენ პოლიტიკოსები წასულები, იგივე ირაკლი ოქრუაშვილი, ვიღაცები. ესე იგი, ისინიც ასეთივე პოლიტიკოსები არიან. ამიტომ გაჩერდნენ, წყნარად და მშვიდად იყვნენ ყველანი და ნუ შეეცდებიან აქ არეულობის შემოტანას!

ძალიან ბევრი „ენჯეო“ იქმნება ყოველ წელს, მათი საქმიანობა არის დიდი ბუნდოვანებით, დიდი ბურუსით მოცული!

ჩვენ მართლაც ძალიან რთული, ემოციური დღეები გადავიტანეთ, მაგრამ, ვფიქრობ, აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა სახელმწიფოს სიძლიერეც, სიმტკიცეც და ხელისუფლების გონიერება. შევეცდები, გულწრფელად და გულახდილად შევაფასო და საზოგადოებას წარვუდგინო ჩემი ერთგვარი ანალიზი, როგორ ვაფასებ ამ მოვლენებს, რაც მოხდა.

ალბათ უპრიანი იქნებოდა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, თუ საიდან დაიწყო ეს მოვლენები, რამ განაპირობა, რა იყო ამ აქციების ორგანიზების მაპროვოცირებელი. კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ყველაფერი უკავშირდება კანონპროექტს, რომელიც ჩვენ მოვიწონეთ და მხარი დავუჭირეთ. ეს შეეხებოდა უცხოური გავლენის ორგანიზაციების რეგისტრაციას და მათი

მთავრობის დასაცავად!

გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას. როდესაც ეს ინიციატივა თავდაპირველად გუნდში იყო განხილული, მაშინ ჩვენ, ბუნებრივია, დავიწყეთ სხვა ქვეყნების ანალოგიების შესწავლა. პირველი ასეთი ანალოგია იყო ჩვენთვის სამაგალითო სახელმძღვანელო ამერიკის შეერთებული შტატების, სადაც უკვე 1938 წლიდან მოქმედებს ეს კანონი. მას შემდეგ რამდენჯერმე მოხდა მისი მოდიფიცირება, დახვეწა, მაგრამ ეს კანონი მოქმედებს და მუშაობს.

ვიცით სხვა მაგალითებიც, ევროკავშირში, რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებს, ვიცით, რომ ახლა ბრიტანეთი მუშაობს, კანადაც. და სულ რამდენიმე კვირის წინ, მაშინ, როცა ჩვენ ვიწყებდით კანონპროექტის აქტიურად განხილვებს, საზოგადოებამ ნახა ინფორმაცია, რომ ევროპარლამენტში მოხდა ანალოგიური შინაარსის კანონპროექტის ინიცირება. ყველაზე დიდი პარტია – EPP, რომელიც ყველასთვის ცნობილია, „სახალხო პარტია“ იყო ამ კანონპროექტის ინიციატორი.

რა იყო მთავარი ამ კანონპროექტის განხილვის და მიღების მიზანი? ჩვენმა კანონმდებლებმა ძალიან კარგად განმარტეს ბოლო დღეების განმავლობაში და მანამდეც შინაარსი, თუ რას ემსახურებოდა ამ კანონის მიღება, მაგრამ ერთი რამე მინდა, ვთქვა. იცით, რომ რამდენიმე ათეული წელია, საქართველოში მოქმედებს ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია. ძალიან ბევრი „ენჯეო“ იქმნება ყოველ წელს, მათი საქმიანობა არის დიდი ბუნდოვანებით, დიდი ბურუსით მოცული, მე ასე ვიტყოდი პირდაპირ, არ მოვერიდები ამის თქმას, და მიღებული ფინანსებით მათი ქმედება, მათი აქტივობა არის გაუმჭვირვალე!

„მქონდა საუბარი რამდენიმე ჩვენს უცხოელ პარტნიორთან, მეგობრებთან და მათ მკითხეს, მაგალითად, რომელი არასამთავრობოს საქმიანობის გამჭვირვალობას ითხოვთ თქვენ ან რომლის საქმიანობა იწვევს კითხვებს. რამდენიმეს ჩამოვთვლი, მაგალითად, ცნობილი თავისი დესტრუქციული ქმედებებით და პროვოკაციებით, ე.წ. სირცხვილიას მოძრაობა, რომელიც ფინანსდება პირდაპირ უცხოური ორგანიზაციების მხრიდან, მათ შორის უცხო ქვეყნების სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან.

ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ორგანიზაცია შემდეგ აქ ითხოვდა მთავრობის გადადგომას, ჩემს გადადგომას, ძალიან ბევრი დესტრუქციული ქმედება იქნა განხორციელებული მათ მიერ, უშუალოდ მათ მიერ ან მათი თანამონაწილეობით. ჩვენ ვიცით ე.წ. პროვოკაციული მოძრაობა „თბილისი პრაიდი“, რომელიც აპირებდა მეტად პროვოკაციული ღონისძიების ჩატარებას, ე.წ. პარადების ჩატარებას. ამან ძალიან დიდი მღელვარება გამოიწვია. ეს ყველაფერი უკავშირდება სწორედ მათ დესტრუქციულ საქმიანობას. ორგანიზაცია „იემსი“, მაგალითად. შეიძლება ძალიან ბევრმა არ იცის, მაგრამ მე ვიცი, რამდენად დესტრუქციული საქმიანობით არის დაკავებული ეს ორგანიზაცია.

ეს ადამიანები პირდაპირ ემსახურებიან შუღლის გაღვივებას, ძალიან ბევრ პროვოკაციაში არიან ჩართული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, ძალიან ბევრი ორგანიზაცია, იგივე „ისფედი“, რომელმაც პირდაპირ გაყალბებული მონაცემები წარმოადგინა, მე ვგულისხმობ არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში პარალელური დათვლის შედეგები იყო გაყალბებული, რაც მათ შემდეგ აღიარეს. ჩვენი ამოცანა არის, ვიცოდეთ, იცოდეს ჩვენმა ხალხმა, რას ემსახურება მათი საქმიანობა. ეს იყო მთავარი მოტივაცია“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თუ ვინმეს არ უნდა დღეს კანდიდატის სტატუსის მიღება, ეს არის რადიკალური ოპოზიცია!

ჩვენ რომ გადაგვედგა გაუაზრებელი, ემოციური ნაბიჯები, პოპულისტური მოქმედებები დაგვეწყო, დღეს არაფერი იქნებოდა ქვეყანაში. არც ლარი იქნებოდა თითქმის 2,5-ზე ჩამოსული. მაგალითად, ინფლაცია რვა პროცენტზე ჩამოვიდა, უმუშევრობა არის ისტორიულ მინიმუმზე, სიღარიბე ისტორიულ მინიმუმზეა, ამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნა. გავზარდეთ პენსიები, ხელფასები საჯარო და კერძო სექტორებში, ყველგან. ანუ ყველა მიმართულებით ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი წინსვლა. ვიწყებთ ძალიან მასშტაბურ პროექტებს. ანაკლიის მშენებლობა უნდა დავიწყოთ წელსვე, სექტემბერში. ვიწყებთ ახალი აეროპორტის მშენებლობას.

500 მილიონი დოლარის ინვესტიცია არის დაგეგმილი. ყველა მიმართულებით არის პროგრესი. რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენ ასეთი გამოწვევების ფონზე გვაქვს ამხელა პროგრესი, ბევრს ნერვებს ვუშლით, ბევრს ჰქონდა ილუზია და იმედი, რომ საქართველოს როლი უნდა ყოფილიყო ომში ჩართვა. ამ როლზე ჩვენ დიდი ხანია, უარი ვთქვით, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა ბიძინა ივანიშვილის პატრიოტული ხელისუფლება. ასე რომ, ეს ბუნებრივია.

აქვე მინდა, ერთი რამ განვმარტო – ჩვენ არავის წინააღმდეგი არ ვართ. ყველა ქვეყანას და ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი ინტერესები, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი ინტერესები; გვაქვს უფლება, გვქონდეს საკუთარი ინტერესები და დავიცვათ ჩვენი საკუთარი ინტერესები. ამაზეა საუბარი. ამიტომ ჩვენ ეროვნულ, სუვერენულ პოლიტიკას გავაგრძელებთ. ჩვენი ამოცანაა, გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ჩვენი მთავარი ოცნება – ქვეყნის გაერთიანება და ღირსეულად ევროკავშირში გაწევრიანება. ეს პროცესი არ არის მარტივი, ეს ერთ და ორ დღეში არ მოხდება. მინდა, ვთქვა კიდევ ერთხელ, რომ ჩვენ მაქსიმუმი შევძელით ბოლო ათ წელიწადში. ეს იყო წარმოუდგენელი. ასოცირების შეთანხმება, უვიზო რეჟიმი, თავისუფალი ვაჭრობა, პერსპექტივა, სტატუსი, ამის იქით რჩება უკვე გაწევრიანება. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენ მივიღებდით ევროპულ პერსპექტივას. ძალიან ბევრი სკეპტიციზმი არსებობდა ევროპის ქვეყნებში, დედაქალაქებში, რომ საქართველო იმსახურებს ამ შეფასებას. ბევრმა ახსენა გეოგრაფია, ძალიან ბევრი სკეპტიკური განცხადება მოვისმინეთ, მაგრამ ჩვენ ეს მივიღეთ. ამიტომ ამას სჭირდება შენარჩუნება და დაცვა. თუ ვინმეს არ უნდა დღეს კანდიდატის სტატუსის მიღება, ეს არის დესტრუქციული, რადიკალური ოპოზიცია. რატომ? სტატუსის მიღების შემდეგ მათ, პრაქტიკულად, ხელიდან ეცლებათ ყოველგვარი ბრალდება და ვერაფერს ვეღარ დაგვწამებენ. რა უნდა თქვან, ხომ? ჩვენ მაქსიმუმი გავაკეთეთ ამ პერიოდში. ამიტომ ყველანაირად შეეცდებიან, რომ საბოტაჟი იყოს, მეტი არეულობა იყოს, რომ დაანგრიონ ეკონომიკა, დაანგრიონ ტურიზმი, არ იყოს ათპროცენტიანი ზრდა, არამედ იყოს მინუს ათპროცენტიანი ეკონომიკური ვარდნა, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ხალხზე აისახება. ამიტომ, მინდა, ჩვენს ხალხს მივმართო და ვუთხრა, რომ თითოეულ მათ ქმედებას კარგი ანალიზი გავუკეთოთ“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„გირჩი“ ანტიეროვნული მოძრაობაა

მთავრობის მეთაურის თქმით, ქართველების მთავარი საამაყო სიტყვაა „ვემსახურებით საქართველოს, ჩვენს ქვეყანას“. პრემიერის განცხადებით, „გირჩმა“ ანტიეროვნული კამპანიით 10 000-ზე მეტი ახალგაზრდა შეცდომაში შეიყვანა.

„თავდაცვის კოდექსზე მუშაობა ჩემს დროს დაიწყო, როცა მინისტრი ვიყავი. აქაც არის შემდეგი მთავარი ძირითადი საკითხები, რაც მინდა, ავუხსნა ჩვენს საზოგადოებას. დღეს ჯარი და პოლიცია არის ყველაზე რეიტინგული ინსტიტუცია ეკლესიასთან ერთად, ეს ორი მთავარი საყრდენი ჩვენი ქვეყნისა! ჩვენი მთავარი ამოცანა არის ძლიერი რეზერვის შექმნა. ჩვენ ვართ მცირერიცხოვანი ერი, გვაქვს ძალიან მდიდარი სამხედრო ტრადიციებიც, ვართ მეომარი, ძლიერი ხალხი და არ გვინდა, ქვეყანაში გავრცელდეს მავნე პოლიტიკა, მაგალითად, ისეთი, როგორიც აწარმოა „გირჩმა“. ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია იყო სწორედ ამ „გირჩის“ გამოწვევის დაძლევა. ანტიეროვნული, არ მოვერიდები ამის თქმას, ეს ანტიქართული მოვლენაა, ანტიქართული ფენომენია და ანტიქართული მოძრაობაა იმიტომ, რომ როდესაც შენ ადამიანს, ჯანსაღ, ყველაზე მაგარ წარმომადგენელს, ახალგაზრდა კაცს თუ ქალს ეუბნები, ჯარს თავი რომ დააღწიო, რომ არ ემსახურო შენს ქვეყანას, გახდი ცრუ მღვდელმსახური და გახდი რაღაც გასაბერი ეკლესიის წევრი თუ მრევლი! ეს არის უბედურება, ტრაგედია. ჩვენი მთავარი საამაყო სიტყვა რა არის, რომ „ვემსახურებით საქართველოს, ჩვენს ქვეყანას“! 10 000-ზე მეტი ახალგაზრდაა შემცდარი. ის რეფორმები, რაც დავიწყე ჩემი მინისტრობის დროს, ძალიან ბევრი თანხა ჩავდეთ ინფრასტრუქტურაში, თანამედროვედ მოვაწყვეთ ყველა ბაზა, შეიარაღება, უნიფორმა, აღჭურვილობა, ყველაფერი. ახლა მიდის სერიოზული პროცესები შეიარაღების მიმართულებით. ჩვენ ვთქვით, რომ ის მავნე პრაქტიკა, რომელიც დღემდე, სამწუხაროდ, მოქმედებდა, ანუ ვგულისხმობ იმას, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფი ახალგაზრდები იდგნენ ყარაულებად ციხეებში, სხვადასხვა ობიექტზე, მქონდა გუნდთან ამის თაობაზე საუბარი და ვთქვით, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. ჩვენ გვინდა, რომ მოვამზადოთ ჯანსაღი პატრიოტები, ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი; შევთავაზოთ მათ თანამედროვე სამხედრო მომზადება, ძირითადი საბრძოლო მომზადების კურსები, ეს იქნება, მინიმუმ, ექვსთვიანი. ექვსი თვე რომ შეხვიდეთ ჯარში, სადაც დაგხვდება კარგი ბაზა, კარგი აღჭურვილობა, კარგი პირობები, კარგი კვება, სერიოზული მომზადება, იქიდან გამოხვალ ჩამოყალიბებული, დისციპლინირებული ახალგაზრდა. მეორე საფეხური იქნება რვათვიანი და 12-თვიანი, – თუ გინდა სამხედრო სამსახურში დარჩენა. რაც შეეხება აუიოტაუს, რომ აბრუნებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს და ა.შ., დღეს არსებული უკვე არის ჰიბრიდული, ანუ არის სავალდებულო სამსახურიც და არის საკონტრაქტო, პროფესიული. ჩვენ ვთქვით, რომ ამ სავალდებულო სამსახურის მოსამსახურეებს წამოვიყვანთ ყველას, ისინი მხოლოდ ჯარში გაივლიან სამსახურს, მინიმუმ, ექვსი თვე და ჩაეთვლებათ ნამსახურებად ეს .

ევროპარლამენტმა სამარცხვინო რეზოლუციით გვითხრა, რომ სააკაშვილი არის მათი აგენტი, ყველაფერს აკეთებენ, რომ თავიანთი აგენტი გაიყვანონ ციხიდან, ეს ასე არ მოხდება!

რამდენიმე დღის წინ გავაკეთე განცხადება და ვთქვი, რომ ევროპარლამენტმა თავისი სამარცხვინო რეზოლუციით პირდაპირ აღიარებითი ჩვენება მოგვცა, გვითხრა, რომ სააკაშვილი, ძალიან მარტივად რომ დავარქვათ ყველაფერს სახელი, არის მათი აგენტი. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ მათი აგენტი გადაარჩინონ და გაიყვანონ ციხიდან. ეს ასე არ მოხდება.

ჩვენ მათ და ჩვენს ძალიან ბევრ პარტნიორს ვუთხარით, რომ სააკაშვილმა ძალიან ბევრი მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ისეთი, როგორიც არის გირგვლიანის მკვლელობა და ამ საქმეში მისი მონაწილეობა, ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტი, ყოფილი დეპუტატის, რომელიც სიკვდილის პირას მიიყვანეს, ისე ცემეს, ტელეკომპანია „იმედის“ მითვისება, კორუფციული ბრალდებები და ბოლოს, ახლა დაიმატა ამ ადამიანმა საზღვრის უკანონო კვეთა, უკანონოდ შემოჭრა ქვეყანაში. რა თქმა უნდა, არავითარი სამართლებრივი გამოსავალი, არც სურვილი, რომ რაღაც კანონი დავარღვიოთ, არ არსებობს. ჩვენ კანონს ვერ დავარღვევთ, ჩვენ ვერ დავარღვევთ კონსტიტუციას. სააკაშვილი დღეს არის პატიმარი. მე არ მინდა, პატიმარზე ბევრი ვილაპარაკო და ერთგვარი პირობაც კი ვთქვი, რომ აღარ მინდა სააკაშვილზე საუბარი. ვინც თვალყურს ადევნებდა მის აღვირახსნილ კამპანიას მთელ მსოფლიოში, ამ ადამიანმა დაიქირავა ლობისტური კომპანიები. ოფიციალურად მარტო ამერიკაში მილიონი დოლარი აქვთ გადახდილი, რაც არის რეგისტრირებული ისევ ამ კანონის მეშვეობით. FARA-ს კანონის, რომელიც ჩვენ უნდა მიგვეღო, ამ კანონის მოქმედების შედეგად გავიგეთ, რომ სააკაშვილმა დედამისის მეშვეობით დაიქირავა და მილიონი დოლარი გადაიხადა ლობისტურ საქმიანობაში.

იხ. 4 გვ.

ქუდზე კაცი ზექართული

(მესამე გვერდიდან)

ვანო მერაბიშვილმა დაადასტურა, რომ მათი ამოცანა არის ხელისუფლების გადატრიალება, შეცვლა და ომის დაწყება

ვანო მერაბიშვილმა დაადასტურა, რომ მათი ამოცანა, მიზანი არის ხელისუფლების გადატრიალება, შეცვლა და ომის დაწყება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, მერაბიშვილმა აღიარა, რომ მათი მიზანი არის მეორე ფრონტის გახსნა.

„დღეს ხაზეიშვილი არის მერაბიშვილი-კეზერაშვილის ტანდემის მიერ მართული. ეს ყველამ ძალიან კარგად ვიცით. მეორე დაპირისპირებული ფრთა არის ახალაიამელიას ფრთა. გუშინ ვანო მერაბიშვილმა დაადასტურა, თქვა, რომ მათი ამოცანა, მათი მიზანი არის ხელისუფლების გადატრიალება, შეცვლა და ომის დაწყება. კაცმა აღიარა, რომ მათი მიზანი არის ომის წარმოება რუსეთის წინააღმდეგ, ანუ მეორე ფრონტის გახსნა, რასაც ჩვენ ვუყვებოდით ხალხს, ჩვენს საზოგადოებას მთელი ამ ერთი წლის განმავლობაში, ყველა ეს პროვოკაცია, დაწყებული სააკაშვილის შემოგზავნით, დამთავრებული უამრავი პროვოკაციით, რომელიც თავიდან ავიცილეთ“.

მინდა, ვუთხრა ჩვენს მტრებს, რომ კიდევ ერთხელ წააგეს და ვერ შეძლებენ ქვეყნის დანგრევას!

მთლიანობაში, კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჩვენი ჰუმანური სახე, ჩვენი დემოკრატიულობა, ამავდროულად, ჩვენი ხელისუფლების სიმტკიცე, სიძლიერე. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ჩვენს მაგარ პოლიციას. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს საპარლამენტო გუნდს, უმრავლესობას, პარტიის, პარლამენტის თავმჯდომარეებს, ყველას, ძალიან რთული დღეები იყო მათთვისაც, მაგრამ ჩვენ, ყველამ კოლექტიურად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება და ვთქვით, რომ ეს არის ერთადერთი სწორი, გონივრული და ეროვნული ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება!

ბოლოს მინდა, ვუთხრა ჩვენს მტრებს, რომ მათ კიდევ ერთხელ წააგეს და ვერ შეძლებენ ჩვენი ქვეყნის დანგრევას. მათ ერთხელ უკვე დაანგრიეს ჩვენი ქვეყანა და მეორედ აღარ მივცემთ ამის საშუალებას!

თუ დამსახურებულ მიღებაზეა საუბარი, ჩვენი ქვეყანა იმსახურებს კანდიდატის სტატუსს

ყველა ის ევროპელი თუ უცხოელი, რომელიც ტოლობის ნიშანს უწერს სააკაშვილსა და ჩვენს ქვეყანას, ესე იგი, არ ცნობს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს; პატივს არ სცემს ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას; ჩვენს ინსტიტუტებს, ჩვენს ხალხს; სააკაშვილის მიერ ნაწამებ დაჩაგრულ ათასობით ადამიანს. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი პასუხი და რეაქცია იქნება ადეკვატური, პროპორციული. ვინც ჩვენ პატივს არ გვცემს, ჩვენგანაც ნუ მოელის პატივისცემას.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ გამჭვირვალედ. მაგალითისთვის – ჩვენ საჯაროდ შევთავაზეთ სააკაშვილის ოჯახს, რომ ჩამოიყვანონ ნებისმიერი კლინიკიდან ნებისმიერი ექიმი, ოჯახმა და არა სხვამ. სხვა არ უნდა ჩაერიოს ამ პროცესში. ოჯახმა ჩამოიყვანოს, თუ უნდათ, რომ უმკურნალონ ადგილზე, პრობლემა არ არის. ნულია პრობლემა. ჩვენ არავითარ ბარიერს არ შევუქმნით.

მაგრამ არა ისე, რომ არც ჩვენი სამედიცინო დაწესებულებები, არც ჩვენი ინსტიტუტები, ასე არ გამოვა. ჩვენ ჩვენი ღირსება უნდა დავიცვათ; ჩვენი სახელი, ჩვენი ავტორიტეტი უნდა დავიცვათ. ჩვენ გვაქვს მრავალათასწლიანი სახელმწიფოებრიობა, კულტურა და იდენტობა. არავის ჰქონდეს მოლოდინი, რომ ჩვენ რაიმე უკანონობას ჩავიდენთ.

– რაც შეეხება, ზოგადად, კანდიდატის სტატუსს, ჩვენ მაქსიმუმს ვაკეთებთ, მაქსიმუმი გავაკეთეთ უკვე, პარლამენტმა ძალიან სერიოზულად იმუშავა მთავრობასთან ერთად. ჩვენ ყველამ ერთად ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ყველა რეკომენდაცია, რომელიც ჩვენი შესასრულებელია, შეგვესრულებინა მაქსიმალურად მოკლე დროში. მანამდეც მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ – რა თქმა უნდა, ჩვენ რომ შევხედოთ მოლდოვასა და უკრაინას, ხომ ვიცით, რა ხდება იქაც. იმავე ბოლო რაპორტში, რაც გამოაქვეყნა ევროკავშირმა, ჩვენ ბევრად წინ ვართ. ორჯერ, სამჯერ ვუსწრებთ უკრაინას, მოლდოვას, ყველა მიმართულებით.

მაგრამ ვიცით, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს, ჩვენ ერთგვარად დაგვსაჯეს, გვითხრეს, რომ სტატუსი ახლა არა, დაელოდეთ. ამაზე ვთქვით, გასაგებია, მადლობა, მეგობრებო, მივიღეთ ევროპული პერსპექტივა. სტატუსი მათ მისცეს ავანსად. ჩვენ არავისი გვშურს, გვითქვამს ბევრჯერ, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არის, რომ ვინაიდან ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, სტატუსი უნდა მივიღოთ წლის ბოლომდე. თუ დამსახურებულ მიღებაზეა საუბარი, ჩვენი ქვეყანა იმსახურებს კანდიდატის სტატუსს. თუ ვინმე საზოტაჟს გაუწევს და სურს, რომ გაუწიოს საბოტაჟი, ეს არის ისევ ეს დესტრუქციული, ანარქისტული ძალები...

ჩვენი ხელისუფლება ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე ხელისუფლებად ითვლება მთელ მსოფლიოში!

– გავიხსენოთ, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ყოველდღიურად მოგვიწოდებენ უფრო მეტი გამჭვირვალობისკენ, რაც თავისთავად კარგია. ჩვენი მთავრობა და ჩვენი ხელისუფლება ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე ხელისუფლებად ითვლება მთელ მსოფლიოში და მოწინავე დემოკრატიებს შორისაა.

თუნდაც, იგივე ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიხედვით ჩვენ ვართ პირველ ადგილზე მსოფლიოში. ჩვენი მთავარი, ასე ვთქვათ, ინტერესი იყო შემდეგი – ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვა. რას ვგულისხმობ? მე ვიგულისხმე და აღვნიშნე, რომ ძალიან ბევრი დაფინანსება მოემართება არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებზე – ასეულობით მილიონი დოლარი აქვთ მიღებული მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა.

გაუმჭვირვალეა მათი მიზნები, მათი აქტივობა, ჩვენ ძალიან ცოტა ინფორმაცია გვაქვს. ჩვენ ვითხოვდით მინიმალური გამჭვირვალობის დონეს და მინიმალურ ანგარიშვალდებულებას ჩვენი საზოგადოების წინაშე.

მთავრობის სტარტკომი: არ დაუჯეროთ პოლიტიკურად ანგაჟირებულ ჯგუფებს!

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში პრემიერ-მინისტრის ინტერვიუს შემდეგ, სოციალურ ქსელებსა და პოლიტიკურად ანგაჟირებულ მედიასაშუალებებში მიმდინარეობს დეზინფორმაციული კამპანია და მიზანმიმართულად ხდება პრემიერ-მინისტრის განცხადებების არასწორი ინტერპრეტირება, – ამის შესახებ აღნიშნულია მთავრობის სტარტკომის განცხადებაში.

„განსაკუთრებით აგრესიულად მიმდინარეობს ყალბი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ეხება პრემიერის განცხადებებს აქციის მონაწილე ახალგაზრდებთან დაკავშირებით.

გვსურს, საზოგადოებას განვუმარტოთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა ინტერვიუში განაცხადა: „გარდა ამ დესტრუქციული, ანარქისტული მოძრაობის წევრებისა, იქ ძალიან ბევრი გულანთებული მოსწავლეც იყო, ბევრი სტუდენტიც, მაგრამ არა ასეთი აგრესიული, – მშვიდად იდგნენ, აპროტესტებდნენ, უბრალოდ მხარს უჭერდნენ ევროპის იდეას“. პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ მიუღებელია ახალგაზრდების ნებსით თუ უნებლიეთ ჩართვა დესტრუქციულ პროცესებში. პრემიერ-მინისტრმა ასევე ვრცლად ისაუბრა ევროინტეგრაციის გზაზე ხელისუფლების მხრიდან გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებსა და შედეგებზე, აგრეთვე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების მნიშვნელობაზე.

მიუხედავად ამისა, პოლიტიკურად ანგაჟირებული ჯგუფები ცდილობენ ფეიკნიუსების საშუალებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანას“, – აღნიშნულია მთავრობის სტარტკომის განცხადებაში.

ირაკლი კობახიძე: ჩვენი გადაწყვეტილება იყო აბსოლუტურად უალტერნატივო მიუხედავად იმ პოლიტიკური სიმძიმისა, რომელიც მას ჩვენთვის ჰქონდა

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტზე მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ საზოგადოებისთვის ინფორმაცია მიგვეწოდებინა, თუმცა მეორე მხარეს იყო აბსოლუტურად ზედაპირული, ყალბი, მაგრამ ძლიერი მესიჯი, სამწუხაროდ, არგუმენტებით ძლიერი მესიჯი ვერ გადავწიეთ და ეს არის რეალობა, რაც შეიქმნა, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ გადაცემა „კვირის მოამბეში“ განაცხადა.

„რაც შეეხება გადაწყვეტილების შეცვლას, ბუნებრივია, ამას აქვს თავისი სერიოზული პოლიტიკური სიმძიმე, თუმცა საბოლოო ჯამში, ხელისუფლებამ, სახელმწიფომ კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ბუნება, განსხვავებული იმისგან, რითაც გამოირჩეოდა წინა ხელისუფლება – ჩვენ არასოდეს ვცდილობთ, გადავტეხოთ თუნდაც ის განწყობა, რაც თუნდაც ყალბ ინფორმაციას ეფუძნება. ჩვენ ვნახეთ, რომ გარკვეული ძალები უხეშად სარგებლობდნენ შექმნილი ვითარებით, მათ შორის ახალგაზრდებს, ადამიანებს რისკის ქვეშ აყენებდნენ და არ გვინდოდა, ეს პროცესი ასე გაგრძელებულიყო. ჩვენ გავუფრთხილდით ადამიანებს, მშვიდობას, სიმშვიდეს. ვფიქრობ, რომ შეცვლის გადაწყვეტილება იყო აბსოლუტურად უალტერნატივო მიუხედავად იმ პოლიტიკური სიმძიმისა, რომელიც მას ჩვენთვის ჰქონდა, მაგრამ ჩვენი პრინციპია – ჰუმანურობა და რაღაცეებისთვის ანგარიშის გაწევა მაშინაც კი, როცა გარკვეულ აღქმებს შეიძლება ობიექტური საფუძველი არ ჰქონდეს“, – განაცხადა კობახიძემ.

კახა კალაძე: საპარლამენტო უმრავლესობას დაშლის საფრთხე არ ემუქრება!

დედაქალაქის მერის კახა კალაძემ თქმით, გავრცელებული ინფორმაცია არის ტყუილი და საზოგადოების დეზინფორმირებას ისახავს მიზნად.

„უმრავლესობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. თუ კონკრეტულ პიროვნებებს აქვთ სურვილი, დატოვონ პარტია „ქართული ოცნება“, ეს მათი უფლებაა, არანაირი შეზღუდვა ამ მხრივ არ ყოფილა და არც ამჯერად იქნება“, – განაცხადა თბილისის მერმა.

მთავრობის დასაცავად!

„ხალხის ძალა“: როცა ჩვენ გვსურს სტაბილური დასავლეთის წევრობა, დასავლეთიც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში უნდა ემიჯნებოდეს დესტრუქციულ ოპოზიციას

„ხალხის ძალა“ ახალ განცხადებას ავრცელებს

„ხალხის ძალამ“, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, კომპრომისით, ძალა აჩვენა, აქციის ორგანიზატორებმა კი, არშემდგარი, მათთვის ნანატრი რევოლუციის სურვილით – სისუსტე. „ქვეყნის გარედან იმპორტირებულ ტყუილს“ „ახალგაზრდებში, „მოლოტოვის კოქტეილის“ ეფექტი ჰქონდა. მაზე მეტი ღალატი და მტრობა რა არის, როცა საკუთარი ახალგაზრდების ემოციას მათივე მომავლის საწინააღმდეგოდ გამოაყენებინებ სხვას. უფრო მეტიც, მათ სიცოცხლეს სხვა ქვეყნის ინტერესებისთვის გაწირავ. ტყუილს კი „ძალიან მოკლე ფეხები“ აღმოაჩნდა და დღეს უკვე ბევრი მიხვდა, რომ კანონპროექტი, რომელსაც ისინი უსაფუძვლოდ აპროტესტებენ, თურმე კანადისთვის და ევროკავშირისთვისაც გახდა მისაღები. ამერიკაზე და ბრიტანეთზე რომ აღარ ვისაუბროთ.

რეალურად, მთელი ეს ეგზალტირებული კამპანია ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ სხვა ქვეყნების ინტერესებს, რომელთაც ისევ ომის გზაზე მივყავართ. როგორც კი მომიტინგე ახალგაზრდებით ქვეყანაში რყევა გამოიწვიეს, უკრაინიდან მაშინვე განახლდა საქართველოში მეორე ფრონტის საკითხი.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ომი უკრაინაში ჯერ არ დასრულებულა და ის არც ისე შორსაა ჩვენგან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმაზე მეტი საზრუნავი, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენაა, დღეს არ არსებობს. თუმცა ახალი ომი ახალი ოკუპაციის წინაშე გვაყენებს, სადაც დამხმარე და მხსნელი ისევ არ გვეყოლება.

როცა ჩვენ გვსურს სტაბილური დასავლეთის წევრობა, დასავლეთიც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში უნდა ემიჯნებოდეს დესტრუქციულ ოპოზიციას და ძალადობას და არა პირიქით. რაც შეეხება იმ მძიმე დღეს, „ხალხის ძალამ“, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, კომპრომისით ძალა აჩვენა, რუსთაველზე აქციის ორგანიზატორებმა კი არშემდგარი, მათთვის ნანატრი რევოლუციის სურვილით – სისუსტე, რის გამოც ქვეყნის სუვერენიტეტი „ცალ ფეხზე“ დატოვა. „ცალ ფეხზე მდგომი“ ქვეყნისთვის ხელის კვრა და წაქცევა ძალიან ადვილია. დავფიქრდეთ, იქნებ სწორედ ეს არის მათი მიზანიც?“

ახალი „სახალხო დამცველი“ აბსოლუტურად მიკერძოებით და ძველი დოგმებით აზროვნებს!

საქართველოს სახალხო დამცველი 2023 წლის 7-9 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველი და მისი რწმუნებულები აქტიურად ადევნებდნენ თვალს საქართველოს პარლამენტთან „ხალხის ძალის“ მიერ ინიციირებული კანონპროექტების გაპროტესტების მიზნით 7-9 მარტს გამართული აქციების მიმდინარეობას“, – განაცხადა სახალხო დამცველმა, ლევან იოსელიანმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

„საქართველოს სახალხო დამცველი ხაზგასმით მიუთითებს, რომ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით არის დაცული. თავის მხრივ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ძალადობა“ გულისხმობს შეკრების მონაწილეთა მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენებას, რომლის შედეგადაც, მოსალოდნელია გარდაცვალება, ჯანმრთელობის ან საკუთრების სერიოზული დაზიანება. შესაბამისად, კომიტეტის მითითებით, ძალადობად არ უნდა ჩაითვალოს, მათ შორის, უბრალო მიწოლა ან ხელის კვრა. ამავდროულად, საგულისხმოა, რომ ცალკეულ პირთა ან პირთა მცირე ჯგუფის სიტყვიერი, ფიზიკური აგრესიის თუ ძალადობის აქტები არ აბათილებს იმ ადამიანთა შეკრების თავისუფლებას, რომლებიც მშვიდობიან ქცევას განაგრძობენ. მსგავს შემთხვევებში, ნებისმიერი სახის ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტული ინდივიდების ძალადობრივ ქმედებებზე პასუხს და არა მთელი შეკრების დაშლას.

უწყვეტად განხორციელებული მონიტორინგის, მედიით გავრცელებული ინფორმაციისა და ვიდეოჩანაწერების საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველი საზოგადოებას თავის შეფასებებს წარმოუდგენს:

„7 მარტის საღამოს ადგილზე ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც შეკრების მონაწილეთა ნაწილმა პარლამენტის ერთ-ერთ შესასვლელთან სცადა მიახლოება, რომლისკენ მიმავალი გზაც სამართალდამცავებს ჰქონდათ გადაკეტილი. აღნიშნულს მოჰყვა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომ აქციამ ძალადობრივი ხასიათი მიიღო, მოხდა პარლამენტის ერთ-ერთი შესასვლელის ბლოკირების მცდელობა და ადგილი ჰქონდა სამინისტროს მოსამსახურეებზე ძალადობის ფაქტებს. მალევე, მოქალაქეთა მცირე ნაწილმა პარლამენტის მეორე შესასვლელთანაც გადაინაცვლა. ორივე ლოკაციაზე ფიქსირდებოდა დაპირისპირების შემთხვევები.

სახალხო დამცველის შეფასებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან 2023 წლის 7 მარტის საღამოს საათებში გაფრთხილების თაობაზე განცხადებების გაჟღერების დროისთვის, აქციას ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი და არ არსებობდა მისი შეწყვეტისა და მის წინააღმდეგ ძალის გამოყენების საფუძველი. რაც შეეხება აქციის მონაწილეების მხრიდან ძალადობის შემთხვევებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათ მიმართ უნდა გატარებულიყო ინდივიდუალური აუცილებელი და პროპორციული ღონისძიებები. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სამართალდამცავებმა შეკრების მონაწილეების, მათ შორის, მშვიდობიანი მანიფესტანტების მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენება აიძულებელი და პროპორციული ჩარევის სტანდარტს.

პარლამენტის უკანა შესასვლელთან, შეკრების მონაწილეთა ნაწილის მიერ დაწყებული ძალადობრივი ქმედებები დაედო საფუძვლად სამართალდამცავების მხრიდან მთელი შეკრების ძალის გამოყენებით, გაუმართლებელ შეწყვეტას 8 მარტსაც. მას შემდეგ რაც შეკრების მონაწილეთა ნაწილმა დაიწყო საქართველოს პარლამენტის შენობის უკანა შესასვლელის მხარეს შენობის დაზიანება, მინების ჩამსხვრევა, პოლიციამ შესაბამისი რეაგირებები განახორციელა, თუმცა აღნიშნული ძალის გამოყენება სრულიად არალეგიტიმურად გაგრძელდა საქართველოს პარლამენტის წინ მდგარი შეკრების მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ.

აღსანიშნავია ისიც, რომ, ორივე შემთხვევაში, განსაკუთრებით, 8 მარტის ღამის საათებში ძალის პირველად გამოყენების შემდეგ, ვითარება რამდენჯერმე დაიძაბა და ადგილზე შეკრებილი პირების წინააღმდეგ განმეორებით არაერთხელ გამოიყენეს სპეციალური საშუალებები, მათ შორის, მაშინაც, როდესაც ამის აუცილებლობა არ იკვეთებოდა. სახალხო დამცველის შეფასებით, მსგავს ვითარებაში ძალის გამოყენების გაუმართლებელი შემთხვევები ყოველთვის ხელს უწყობს სიტუაციის ხელოვნურ ესკალაციას, რაც სამართალდამცავებმა თავიდან უნდა აირიდონ.

ამ დღეებში მედია საშუალებებით გავრცელებულ კადრებში ასახულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აქციის მონაწილეების მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენება ხდებოდა სრულიად უსაფუძვლოდ, ერთეული ადამიანების მხრიდან პოლიციის თანამშრომლებთან მშვიდობიანი მიახლოებისთანავე ხდებოდა სპეციალური საშუალებების გამოყენება, მათ შორის, დამიზნებით სახის არეში ზემოქმედება. აღნიშნული ცალსახად არის დანაშაულებრივი ქმედება. ასევე, მედიასაშუალებებით გავრცელდა რამდენიმე ვიდეომასალა, რომელშიც პირდაპირ ჩანს მოქალაქეების მიმართ უხეში ფიზიკური ძალადობის ფაქტები.

სამართალდამცავთა მიერ გამოყენებული ღონისძიებების შედეგად, დაშავდნენ ადგილზე მოვლენების გაშუქების მიზნით მყოფი მედიის წარმომადგენლებიც. გავრცელდა ინფორმაცია მათი საქმიანობის ხელშეშლის შესახებაც, მაშინ, როდესაც, აქციის მიმდინარეობისას, კანონმდებლობა მათ განსაკუთრებული დაცვის ქვეშ აქცევს.

ამავდროულად, შეკრების შეწყვეტამდე და მის პარალელურადაც, სამართალდამცავები აქტიურად მიმართავდნენ მონაწილეების ადმინისტრაციული წესით მასობრივი დაკავების პრაქტიკას. გავრცელებული კადრები ცხადყოფს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, მსგავსი ღონისძიება ვერ პასუხობდა აუცილებლობის მოთხოვნას და ჰქონდა უფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევის სახე.

7-9 მარტს აქციების მიმდინარეობის პარალელურად, სახალხო დამცველი და რწმუნებულები იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სამმართველოებში, განყოფილებებსა თუ დროებითი მოთავსების იზოლატორებში და მოინახულეს 96 დაკავებული პირი. რწმუნებულები დაკავებულებთან შეხვედრის მიზნით ინტენსიურად მუშაობდნენ არა მხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებშიც. ამასთან რამდენიმე დაკავებულმა პირმა აპარატს მომართა მათი დაკავების კანონიერების შესწავლის მოთხოვნით.

დაკავებულები მიუთითებდნენ დაკავების უხეშ ფორმებზე და რიგ შემთხვევაში, აღენიშნებოდათ დაზიანებები. რამდენიმე დაკავებულის სურვილითა და თანხმობით, სახალხო დამცველის აპარატმა დაუყოვნებლივ მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, გამოძიების დაწყების მიზნით.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ზურაბ ჯაფარიძის შემთხვევა. მისი და მოწმის განმარტებით, შსს-ს რამდენიმე წარმომადგენელი მას ფიზიკურად გაუსწორდა, სცემეს ხელებით, ფეხებითა და ხელკეტებით. აღენიშნება მრავლობითი დაზიანებები თავისა და კისრის არეში, ასევე ხელის მტევნის არეში.

გარდა ამისა, ამ დღეების მანძილზე მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაცია და სახალხო დამცველის აპარატსაც არაერთი პირი უკავშირდებოდა იმის თაობაზე, რომ ვერ პოულობენ ოჯახის წევრები თუ ადვოკატები დაკავებულ პირებს და შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აწვდიდა მათ განთავსების ადგილების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული არღვევს დაკავებულების დაცვის უფლებას, რადგან მათ არ ეძლეოდათ ადვოკატებთან დროულად შეხვედრისა და დაცვის სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობა.

სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს აქციებზე დაკავებულ პირთა საქმეების შესწავლას, პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე დაწყებული გამოძიების მონიტორინგს. ამასთან, სახალხო დამცველი მოუწოდებს საგამოძიებო უწყებებს, ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება არაპროპორციული ძალის გამოყენების, ასევე მედიის წარმომადგენლების დაშავების ფაქტებზე.

არ გადაწვათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გუშინ მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 18 საკითხი განიხილეს.

საუბარი შეეხო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებულ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონსა და „მეცნიერების ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ კანონში შესულ ცვლილებებს, რომელთა თანახმადაც მოიხსნა შეზღუდვა, რომელიც კრძალავდა სახელმწიფოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევას. ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც საქართველოში საერთაშორისო პროგრამით მიიღეს სრული ზოგადი განათლება, მიეცათ შესაძლებლობა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე გააგრძელონ სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ასევე, განიხილეს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცემათ შესაძლებლობა, სახელმწიფო ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელონ დამოუკიდებლად, იურიდიული პირის შექმნის გარეშე. ხაზი გაესვა, რომ აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებების დეცენტრალიზაციის კუთხით.

* * *

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა ასევე იმსჯელეს კანონპროექტზე, რომლის თანახმადაც დაწესდება მკაცრი ჯარიმა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადაწვის გამო. კანონპროექტის თანახმად, მიწის ნაკვეთზე არსებული მარცვლოვანი მცენარეებისთვის (მათ შორის, მათი ნაწვერალისთვის) ცეცხლის წაკიდებისთვის წესდება ახალი ადმინისტრაციული ჯარიმა – ფიზიკური პირებისთვის თითოეულ ჰექტარზე 1 000 ლარის, იურიდიული პირებისთვის კი, – 2 000 ლარის ოდენობით. კანონპროექტი მომზადდა გავრცელებული მავნე პრაქტიკის – მოსავლის აღების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის ცეცხლის წაკიდების გამო, რაც დიდ ზიანს აყენებს ნიადაგსა და გარემოს. ამასთან, დიდია მიმდებარე ნაკვეთებზე, მინდვრებზე, ტყეებსა ან დასახლებულ პუნქტებზე ხანძრის გავრცელების ალბათობა.

მთავრობის სხდომაზე მიიღეს განკარგულების პროექტი „საქართველოს მუნიციპალიტეტებში (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა) მწვანე ნარგაობათა შერჩევის, დარგვისა და მოვლის პირობების შესახებ“. ახალი პროექტის თანახმად, ურბანულ გარემოში რეკრეაციული სივრცეები შეიქმნება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამ პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტებში ურბანული ტერიტორიების გამწვანების ერთიანი და გამართული სისტემის დანერგვას მწვანე ნარგავების შერჩევის, დარგვისა და მოვლის პირობების გათვალისწინებით.

პოლიტიკურმა ვითარებამ დიდ საინვესტიციო წინსვლას ხელი არ უნდა შეუშალოს

ქვეყანას ჯერჯერობით საინვესტიციო ნახტომი აქვს, მაგრამ რამდენად მოხერხდება მისი შენარჩუნება, ეს მეორე საკითხია. პოლიტიკურმა დაძაბულობამ მცირე ეჭვები გააჩინა, თუმცა ამ ეტაპზე ინვესტორები საგანგაშოს მაინც ვერაფერს ხედავენ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2022 წელს 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის დაზუსტებულ მონაცემებს 61.1 პროცენტით აღემატება. ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი კომპონენტის – სააქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის მაჩვენებლის გაზრდით.

2022 წელს რეინვესტიციის წილმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 64.5 პროცენტი შეადგინა. 2022 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2022 წელს 48.0 პროცენტი შეადგინა. პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება 21.4 პროცენტით, მეორეზე – ესპანეთი 18.3 პროცენტით, ხოლო მესამეზე – აშშ 8.2 პროცენტით.

შარშანდელი მიღწევა ძალიან კარგია, მაგრამ ახლა მისი შენარჩუნებაა საჭირო. ამ დროს კი ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება დაიძაბა, რაც, პირველ რიგში, სწორედ ინვესტიციებს ამუხრუჭებს. სწორედ ამაზე საუბრობს ეკონომიკის დოქტორი **ირაკლი მაკალათია,** რომლის აზრითაც თუ პოლიტიკური დაძაბულობა გაგრძელდება, ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვლება.

„ქვეყანაში უცხოელი ინვესტორი ან კაპიტალი როდესაც შემოდის, ამ დროს, ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობაა. ქვეყანაში დაძაბული ვითარებაა და ინვესტორები ხედავენ, რომ მთავრობას არ უჭირავს დასავლური კურსი, ასევე მაღალია ინფლაცია. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში ყველა მსხვილი ინვესტორი თავს შეიკავებს ინვესტიციის განხორციელებისგან.

გავიხსენებ ერთ მაგალითს, როცა რამდენიმე წლის წინ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა შემოდგომაზე, მაშინ მესამე კვარტალში ინვესტიციები შემცირდა, რადგან ბიზნესი ელოდებოდა პოლიტიკურ ცვლილებას ქვეყანაში. საქართველოში ისეთი სიტუაციაა, რომ რა პოლიტიკური ვითარებაც იქნება ქვეყანაში, ისაა მთავარი ფაქტორი ეკონომიკისთვის.

რამდენიმედღიან პოლიტიკურ დაძაბულობას, ცხადია, არ მოჰყვება მძიმე შედეგები, მაგრამ თუ გაგრძელდა, ახალი ინვესტიციები კი არა, არსებული კომპანიებიც იტყვიან უარს და გავლენ ქვეყნიდან. თუმცა, ეს ვითარება მაინც არის ნეგატიური სიგნალი ევროპისთვის“, – განაცხადა მაკალათიამ.

დაახლოებით იგივე აზრს ავითარებს „თიბისი დაზღვევის“ გენერალური დირექტორი **პაატა ღაძაძე**. მისი შეფასებით, უცხოური ინვესტიციები მიდის იქ, სადაც არის სტაბილურობა, მშვიდობა და ადეკვატური საკანონმდებლო ბაზა.

„ინვესტიციების მოზიდვა რაღაც ფორმით არის ხელისუფლების გასაკეთებელი, მეორე კუთხით კი მიზნესისა და ინდივიდების. აქ ერთგვარი ჰარმონიაა საჭირო, ყველას თავის კონტრიბუცია აქვს შესატანი, როგორც საკანონმდებლო ბაზის შექმნაში, ისე სხვა საკითხებშიც.

საჭიროა საკუთრების შესაბამისი დაცულობა, ადამიანის ხელშეუხებლობა, პიროვნების თავისუფლების ხელშეუხებლობა, ნაკლები ბარიერები, როგორც ბიზნესის შექმნის, ისე შემდგომში მისი განვითარების პროცესში, – ასე მოდის ინვესტიციები, უცხოურიც და ადგილობრივიც

შესაძლოა, უცხოური ინვესტიციები დუბაისთვის ან აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვანი არაა, მაგრამ ჩვენთვის ამას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს.

აუცილებელია ინფრასტრუქტურის – გზების, ხიდების, გვირაბების, ენერგეტიკის, კავშირ გაბმულობის სისტემის, პორტებისა და მგზავრთნაკადებისათვის უსაფრთხოების სისტემის შექმნა, – აი ამაზეა მთავარი აქცენტი გასაკეთებელი“, – აღნიშნა „ბიემ.ჯის“-თან საუბრისას პაატა ღაძაძემ.

მანვე ხაზი გაუსვა, რომ ყველანაირი მოცულობის ინვესტიცია, თუნდაც 1-2-მილიონიანი, ერთნაირად აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო დახმარებებს, ამ კუთხითაც საჭირო ახალი კონტაქტების მოძიება და გაფართოება.

გეძა დანელია

საგანგებო შეხვედრა ცოფით ინფიცირების რისკებთან დაკავშირებით!..

„საქართველოში გარეული და მიუსაფარი ცხოველებიდან შინაური ცხოველების ცოფით ინფიცირების რისკის შეფასების“ პროექტის ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები სურსათის ეროვნულ სააგენტოში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს.

აღინიშნა, რომ ვეტერინარული რისკების შეფასების ინიცირების პროცედურების განხილვისას, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ პრიორიტეტულად დაავადება ცოფით ინფიცირების რისკები მიიჩნია (ცოფი ცხოველებსა და ადამიანებში მწვავე მიმდინარეობით და 100%-იანი ლეტალობით ხასიათდება).

„სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად ხორციელდება სხვადასხვა ინფექციური დაავადების, მათ შორის ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია, რასაც სახელმწიფო ფერმერებს უსასყიდლოდ სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ცხოველებში ცოფის გამოვლენის შემთხვევები, 2013 წელთან შედარებით, 70%-მდე შემცირდა, თუმცა, ამ დაავადების სრულად აღმოფხვრა მსოფლიოს გამოწვევაა და ჩვენ ვუერთდებით საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგს“, – აღნიშნა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ გასილაძემ.

მონაწილეებმა დისკუსიის რეჟიმში განიხილეს ინფიცირების და დაავადების პრევენციის საკითხები, იმსჯელეს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე, რომლებიც ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტოს სამეცნიერო ანგარიშის (ევროკავშირში ცოფის მონიტორინგისა და ჰარმონიზებული სქემების შემუშავება) საფუძველზე მომზადდა და, დაავადებების სრულად აღმოფხვრის მიზნით, რეგიონულ დონეზე მოსაზღვრე ქვეყნებთან ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას გულისხმობს.

ᲡᲩᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲩᲕᲐ,

ᲐᲜᲣ ᲐᲙᲐᲙᲘᲡ (ᲪᲩᲔᲚ-ᲪᲩᲔᲚᲘ) ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲐ

– ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“, 1871 ᲬᲚᲘᲡ, 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ (№27) ᲡᲥᲝᲚᲘᲝᲛᲘ ᲘᲢᲧᲝᲛᲑᲘᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ „Თ. ᲐᲕ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲮᲐᲜᲓᲘᲡᲮᲐᲜ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲕᲜᲐᲡ ᲐᲛ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ: „ᲪᲩᲔᲚ-ᲪᲩᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ“, ᲩᲕᲔᲜ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲕᲪᲡᲪᲔᲛᲗ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓᲐᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲛᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲡᲘᲪ ᲨᲔᲒᲕᲬᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ ᲐᲠ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲜ ᲛᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲗᲐᲜᲐᲣᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ. ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲮᲕᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲐᲖᲠᲡᲨᲘ ᲮᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲡᲐᲚᲔᲒᲔᲚᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲛᲘᲕᲡᲪᲔᲗ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘᲐ“...

ᲐᲛ 152 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ,,ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ ᲐᲡᲔ, ᲩᲕᲔᲜ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ-ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ,,ᲪᲩᲔᲚ-ᲪᲩᲔᲚᲘ“ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲛᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ, ᲠᲐᲓᲔᲗᲣ „ᲪᲩᲔᲚ-ᲪᲩᲔᲚᲘ“ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲖᲔᲓᲒᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲐᲡᲔᲑᲚᲐᲓ. **ᲛᲐᲨ ᲐᲡᲔ:**

„ᲣᲞᲐᲠᲨᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ“.

ᲐᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲮᲛᲐ, ᲕᲘᲗᲝᲛ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲮᲐᲜᲘᲐ, ᲠᲐᲪ (ᲔᲡ ᲡᲐᲛᲝᲪ ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ) ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲐᲩᲐᲦᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘᲐ, ᲩᲣᲛᲐᲗ ᲨᲔᲛᲝᲞᲐᲠᲣᲚᲘᲧᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ. ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲦᲫᲠᲐ ᲐᲛ ᲣᲪᲮᲝ ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲓᲘᲓᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲛ, ᲒᲐᲡᲬᲘᲐ ᲑᲐᲦᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲰᲐᲕᲐᲗ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚ ᲙᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲘᲓᲒᲐ, ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ:

– ᲰᲔᲘ ᲨᲔᲜ ᲛᲔᲑᲐᲦᲔᲕ! ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ? – ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲐᲙᲕᲘᲠᲕᲐ ᲛᲔᲑᲐᲦᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲔᲒᲝᲜᲐ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ, ᲨᲔᲜᲪ ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ.

– ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲝᲛ? ᲣᲪᲑᲐᲗ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲛᲔᲑᲐᲦᲔᲛ.

– ᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲐ ᲯᲘᲜᲯᲘᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘᲝᲛ!..

– ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲘᲛ ᲛᲔᲑᲐᲦᲔᲡ ᲘᲛᲐᲕ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲢᲝᲛᲠᲔᲑᲘᲗ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲘᲐ, ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲕᲘᲜᲘᲛᲔᲐ ᲗᲣᲠᲛᲔᲝ... ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲗᲧᲝᲓ ᲪᲐᲚ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲠᲧᲘᲐᲜᲘ ᲑᲝᲗᲚᲘ ᲔᲭᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲨᲘ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲥᲐᲜᲘᲝ. ᲛᲔᲮᲣᲗᲔ, ᲥᲐᲚᲗᲐᲒᲐᲜᲛᲐ ᲐᲡᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲘᲜᲐ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲑᲘᲭᲐ, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲜᲐᲑᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ, ᲮᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ ᲪᲮᲔᲚ-ᲪᲮᲔᲚᲘ ᲙᲝᲪᲜᲐᲡ ᲘᲡᲒᲠᲘᲡᲝ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲕᲘᲜᲪ ᲙᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲬᲧᲐᲚ ᲛᲔᲑᲐᲦᲔᲡᲗᲐᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲓᲘ ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲔᲑᲐᲦᲔᲛᲪ ᲘᲤᲘᲥᲠᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲯᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲰᲐᲠᲕᲘᲐ, ᲠᲐᲚᲐᲪ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ, ᲛᲘᲡᲘᲝ, ᲕᲐᲘ ᲗᲣ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲮᲔᲘᲗᲔ ᲓᲐᲛᲘᲛᲢᲕᲠᲘᲝᲜᲝ, ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲘᲤᲣᲭᲝᲜᲝ! ᲓᲐᲐᲕᲚᲝ ᲙᲔᲢᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲘᲛ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲔᲙᲐᲓ.

– ᲛᲐᲓᲔᲑᲐᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲜᲐᲮᲔᲡ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲔᲜᲓᲜᲔᲜ, ᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲠᲝᲓᲘ ᲘᲧᲝ; ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲬᲧᲐᲚᲘ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲫᲝᲜᲓᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲙᲪᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐᲗ ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲣᲙᲘᲕᲚᲔᲡ ᲡᲐᲬᲧᲐᲚ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲡ, ᲘᲝᲠᲘᲜᲔᲡ ᲬᲘᲜ, ᲓᲐᲣᲨᲘᲜᲔᲡ ᲖᲝᲒᲛᲐ ᲥᲕᲐ, ᲖᲝᲒᲛᲐ ᲢᲐᲚᲐᲮᲘ, ᲖᲝᲒᲛᲐ ᲙᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲛᲐ ᲠᲐ... ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲛᲝᲣᲜᲓᲝᲛᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚᲛᲐ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲥᲜᲐ ᲒᲐᲐᲡᲬᲠᲝ, ᲛᲘᲠᲛᲝᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲛᲓᲔ, ᲩᲐᲯᲓᲐ ᲕᲐᲒᲝᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲘᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲣ ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲖᲔᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲛᲢᲕᲠᲘᲔᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ, ᲐᲮᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ !...“

ᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲖᲔᲓᲒᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ. ᲡᲐᲤᲔᲗᲘᲥᲘ ᲩᲘᲢᲘ – „ᲔᲠᲗᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲑᲔᲦᲣᲠᲐ ᲩᲘᲢᲘ (ᲭᲘᲕᲭᲘᲕᲘ) ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲡᲐᲤᲔᲗᲘᲥᲗᲐᲗ ᲖᲠᲓᲐ, ᲘᲡᲔᲗ ᲜᲐᲘᲠᲐᲗ ᲒᲐᲬᲕᲠᲗᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲜᲐᲰᲐᲕᲐᲓ ᲘᲛ ᲩᲘᲢᲘᲡ ᲤᲠᲗᲘᲚᲘ: ᲮᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ ᲨᲔᲣᲤᲠᲔᲜᲓᲐ, ᲮᲐᲜ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ, ᲮᲐᲜ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲠᲐᲡ ᲨᲕᲔᲑᲝᲓᲐ, ᲕᲘᲜ ᲛᲝᲡᲗᲕᲚᲘᲡ? ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲝᲡᲐᲬᲝᲜᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ. ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡᲐᲪ ᲓᲘᲓ ᲞᲐᲢᲘᲕᲨᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ, ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲓᲐᲤᲨᲕᲜᲘᲚ ᲨᲐᲥᲐᲠᲡ ᲐᲭᲛᲔᲕᲓᲐ. ᲑᲔᲕᲠ ᲞᲐᲢᲠᲐ-ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲩᲘᲢᲣᲜᲘᲔᲑᲡ ᲔᲮᲐᲠᲑᲖᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲡᲐᲤᲔᲗᲘᲥᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲑᲐᲓ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ. ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲔᲗ ᲫᲕᲔᲚ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲛᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲔᲗᲨᲝᲠᲔᲗ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲖᲔ ᲪᲣᲓ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲔᲜ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲬᲧᲕᲐᲗ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲒᲖᲐᲜᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲜ. ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲢᲔᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲐ.ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲑᲣᲜᲘᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ, ᲗᲣ ᲪᲐᲨᲘ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲗᲐ �გᲣᲜᲓᲡ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ.ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲔᲗ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲦᲔ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ თუ იღბალი და კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევთ.

21 ᲛᲐᲠᲢᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲑᲣᲜᲘᲝᲑᲐᲐ. ᲕᲪᲐᲓᲝᲗ, ᲓᲦᲔᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ.

ᲗᲐᲗᲐ ᲨᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲒᲘᲐ ᲛᲣᲠᲦᲣᲚᲘᲐ:

ᲒᲐᲘᲮᲔᲓᲔᲗ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲐ!..

„ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲒᲐᲨᲘ“ ᲬᲔᲠᲘᲐ ᲕᲐᲠᲡᲥᲔᲜᲖᲔ: „ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ...“ (ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲦᲕᲐᲠᲫᲚᲘᲐᲜᲐᲓ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲛᲝᲬᲧᲐᲚᲝᲓ ᲐᲬᲐᲛᲔᲑᲓᲐ: ᲮᲝᲛ ᲮᲔᲓᲐᲕ, ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲐᲓᲒᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲨᲔᲜᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲝ).

ᲫᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲨᲔᲛᲐᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘᲐ „ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲓᲐ“ ᲓᲐ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲐᲓ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲓᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲗᲨᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲞᲐᲣᲖᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲓᲔᲜ.

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲡ, ᲐᲡᲔ ᲩᲐᲜᲡ, ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲣᲫᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲜᲓᲘᲡᲮᲐᲜ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲕᲜᲐᲡ ᲐᲛ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ: „ᲪᲩᲔᲚ-ᲪᲩᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ“, ᲩᲕᲔᲜ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲕᲪᲡᲪᲔᲛᲗ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓᲐᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲛᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲡᲘᲪ ᲨᲔᲒᲕᲬᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ ᲐᲠ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲜ ᲛᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲗᲐᲜᲐᲣᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ. ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲮᲕᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲐᲖᲠᲡᲨᲘ ᲮᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲡᲐᲚᲔᲒᲔᲚᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲛᲘᲕᲡᲪᲔᲗ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘᲐ“...

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲑᲣᲜᲘᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲗᲔᲑᲘ

ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲑᲣᲜᲘᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲝᲓᲘᲗᲒᲐᲜᲕᲔ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲔᲜᲔᲑᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲝᲖᲐᲚᲘ ᲛᲝᲔᲖᲘᲓᲐᲗ:

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘ ᲗᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲑᲣᲜᲘᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲗᲐᲜ, ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲗᲐᲜ, ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲕᲘᲫᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲓᲠᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲕᲔᲑᲘᲪ ᲩᲐᲛᲝᲐᲧᲐᲚᲘᲑᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲛᲐᲓ, ᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲑᲣᲜᲘᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲐᲓ ᲠᲐᲘᲛᲔᲡ ᲐᲪᲮᲝᲛᲓᲜᲔᲜ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ თუ ᲝᲠᲪᲮᲝᲛᲘᲚᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲐ, ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲜ ᲓᲐᲘᲨᲚᲔᲒᲝᲓᲐ, ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲘᲛ ᲬᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲝᲛᲘᲡ

ქემალ-კილიჩ-დაროღლუ - გახდება „თურქეთის განდი“ პრეზიდენტი?!

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ-თაიფ-ერდოღანი, 2003 წელს ჩაუდგა ქვეყანას სათავეში, რომელსაც, დღემდე, მისთვის დამახასიათებელი ქარიზმითა და შორსმჭვრეტელობით მართავს. ერდოღანი, მისმა პოლიტიკურმა იღბალმა თუ გამჭრიახობამ, ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, არჩევნების მოგებას მიაჩვია, მაგრამ წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე რას იზამს, ძნელი სათქმელია. ხალხი, თითქოს, დაიღალა მისი ხანგრძლივი მმართველობით. ეტყობა, ამ მაღალ და მნიშვნელოვან პოსტზე, ამომრჩეველს ახალი სტილის ხელმძღვანელის დანახვა სურს.

ერდოღანს ბევრი გადაუჭრელი პრობლემა დაუგროვდა, მათ შორის, თურქეთის ეკონომიკური სისუსტე, კორუფცია, კლანური მმართველობა და ინფლაცია, რომელმაც, უკვე, ორნიშნა ციფრს გადააჭარბა. ამასწინანდელმა მიწისძვრამ კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა ქვეყნის პრობლემები. მაგალითად, გამომჟღავნდა, რომ მიწისძვრის შედეგად დანგრეული სახლების 80 პროცენტი სამშენებლო კანონდარღვევით იყო აგებული. გაღიზიანებული მოსახლეობა ახლა ამ უმედურების ყველა მიზეზს ერდოღანს მიაწერს. შესაბამისად, მისი რეიტინგი დაეცა. ექსპერტები მომავალ არჩევნებში მის დამარცხებაზე ალაპარაკდნენ. თურქეთში, დღეს, ექვსი მეტნ-აკლებად ძლიერი ოპოზიციური პარტია მოქმედებს, დაწყებული, რადიკალი ნაციონალისტებით და, დამთავრებული, ლიბერალი მემარცხენეებით. ოპოზიციური სპექტრის მთავარი სისუსტე მისი სიჭრელეა. მათ მხოლოდ ერდოღანის წინააღმდეგ ბრძოლა აერთიანებთ. პარტიებს შორის კონფლიქტი და გახლეჩილობა ჩვეულებრივი ამბავია. ოპოზიციაში, ყველაზე მსხვილი და ავტორიტეტული პოლიტიკური ძალა ქემალისტური პარტიაა, რომელიც, წინათ მართავდა ქვეყანას, მაგრამ დღეს, სკანდალებსა და სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობის გამო, ძველი გავლენა დაკარგული აქვს.

სპეციალისტთა აზრით, ოპოზიციას მხოლოდ ერთიანობა თუ უშველის. მოსახლეობასაც ზუსტად ეს მოლოდინი აქვს, თუმცა, ცალკეულ პოლიტიკოსთა დაუფარავი ამბიციები ამომრჩეველში ეჭვებს იწვევს. ოპოზიციონერთა შორის, ყველაზე გამორჩეული ქემალისტური პარტიის დიდი ხნის ლიდერი, ქემალ-კილიჩ-დაროღლუა. დარბაისლური მანერის, პოზიტიური განწყობისა და დინჯი, დალაგებული საუბრის გამო, ხალხმა მას „თურქეთის განდი“ შეარქვა. პოპულარული კი არის, მაგრამ სახლმწიფოებრივი გამოცდილება და პოლიტიკური მომხიბვლელობაც აკლია, მაშინ, როდესაც ირგვლივ ძალიან ბევრი ქარიზმატული პოლიტიკოსია, მათ შორის, სტამბულის მერი, ეკრემ იმამოღლუ, და ანკარის მერი, მანსურ იავაში. მათ ერდოღანის მმართველობის დროს მოიგეს მერის არჩევნები. იმამოღლუს პოპულარობა სტამბულს სცდება. მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატად სწორედ მას მოიაზრებდნენ. ხალხს ახლაც ახსოვს ერდოღანის სიტყვები, ვინც სტამბულს მართავს, ის თურქეთსაც მართავსო. ოპოზიციის ბოლო შეხვედრაზე, სულ სხვა რამ მოხდა: ქემალისტური პარტიის ლიდერმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა და გავიდა კიდეც. მოკლედ, ოპოზიციის საერთო რჩეული, ვინც თურქეთის პრეზიდენტობისთვის ერდოღანის წინააღმდეგ იბრძოლებს, ქემალ-კილიჩ-დაროღლუ გახდა. ყველა დანარჩენმა პრეტენდენტმა შანსი დაკარგა. უფსკრული ოპოზიციურ პარტიებს შორის კიდევ უფრო გაიზარდა.

ეს ამბავი რომ ერდოღანს უთხრეს, ჩაიცინა, თურმე, და თქვა, ესენი ამხელა ქვეყანას როგორ მოუვლიან, ერთმანეთში ვერ მორიგებულანო. იმისთვის, რომ ოპოზიცია საბოლოოდ არ დაშლილიყო, ქემალ-კილიჩ-დაროღლუს საერთო კანდიდატად დამტკიცებამდე, არაერთი თათბირი და დაძაბული მსჯელობა გაიმართა, რომ როგორმე საერთო კანდიდატზე შეთანხმებულიყვნენ.

ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ ერდოღანის მეტოქის, 74 წლის კილიჩ-დაროღლუს მოგების შემთხვევაში, დანარჩენი ხუთი ოპოზიციური პარტიის ლიდერები ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტები გახდებიან. ვიცე-პრეზიდენტებად, შეიძლება, ანკარისა და სტამბოლის მერებიც დაინიშნონ. ამჯერად, ოპოზიციის რიგებში ცეცხლი კი ჩაქრა, მაგრამ, მიმდინარე წლის 14 მაისს, მოუგებენ თუ არა ერდოღანს, ჯერ კიდევ, საკითხავია.

საუდის არაბეთმა რუსეთს ზურგი აქცია!

ამ გოლო დროს უკრაინასა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორის ურთიერთობებში პოზიტიური დინამიკა აღინიშნა, რაზეც პირდაპირ მეტყველებს საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, პრინც ფეისალ-ბინ-ფარხან-ალ-საუდის ვიზიტი კიევში. ეს პირველი ასეთი ვიზიტია ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში. საუდის ოჯახის წევრები, ზოგადად, თავს იკავებენ ხოლმე მსგავსი ვიზიტებისგან. ამიტომ, უნდა ჩაითვალოს, რომ საუდის არაბეთმა განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა კიევის მიმართ. უკრაინის პრეზიდენტი პრინცს პირადად შეხვდა.

ჩვენს ქვეყნებს შორის დიდი ხნის მეგობრობიდან გამომდინარე, ომი ჩვენი სერიოზული წუხილის საგანია და საუდის არაბეთს სურს, კონფლიქტის სწრაფი და უმტკივნეულო დასრულება, რისთვისაც, ყოველ ღონეს ვიხმართო, განაცხადა საუდის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა. პრინცი კიევში ხელცარიელი არ ჩასულა. მისი ქვეყანა უკრაინას 400 მილიონი დოლარის ფინანსურ დახმარებას გამოუყოფს. აქედან, 100 მილიონი ჰუმანიტარული დახმარება იქნება, ხოლო, დანარჩენი 300 მილიონი ნავთობ-პროდუქტების სახით გადაეცემა კიევს. შეხვედრაზე, ხელი მოეწერა ორი ქვეყნის გაერთიანებული ფონდის შექმნის ხელშეკრულებას, რაც, საუდის არაბეთს უკრაინისთვის ფინანსურ-ეკონომიკურ დახმარებას გაუადვილებს.

უნდა ითქვას, რომ ბევრ ექსპერტს გაუკვირდა საუდის არაბეთის ასეთი შემობრუნება უკრაინის მიმართ, რადგან, აქამდე, მას რუსულ-დასავლური და ჩინურ-დასავლური წინააღმდეგობების მიმართ ნეიტრალური პოზიცია ეკავა. პოზიციის ცვლილება რამდენიმე საკითხითაა განპირობებული:

პირველი, ამერიკა აღარ არის სპარსეთის ყურის ნავთობის მთავარი იმპორტიორი. ის თავად მოიპოვებს ფიქალ-ნავთობს, შესაბამისად, სპარსეთის ყურის ქვეყნებმა ნავთობის ექპორტის დივერსიფიკაცია მოახდინეს. ამ მიმართულებით, ჩინეთი გააქტიურდა და, პრაქტიკულად, ამერიკა ჩაანაცვლა.

მეორე, ბაიდენის გამარჯვების კვალდაკვალ, ამერიკა ახლო-აღმოსავლეთში ახალ საგარეო პოლიტიკას ატარებს: რეგიონიდან ჯარები გაჰყავს და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში ამ ქვეყნების კრიტიკას ეწევა, რამაც, მათი სერიოზული განაწყენება გამოიწვია. შეიბღალა ამერიკისა და საუდის არაბეთის კარგი ურთიერთობა, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მათ სასიცოცხლოდ სჭირდებათ ერთმანეთის კეთილგანწყობა. უკრაინის საკითხშიც, რეგიონს, ამერიკის სურვილის საწინააღმდეგოდ, ნეიტრალური პოზიცია უკავია. ამიტომ, ამერიკამ უკრაინას ურჩია, რეგიონთან ურთიერთობა მისგან დამოუკიდებლად განავითაროს, მით უმეტეს, რომ სპარსეთის ყურის ქვეყნებსა და უკრაინას ერთი საერთო მტერი გაუჩნდათ, ირანი.

ექსპერტთა აზრით, არაბეთისთვის აუტანელია ამერიკის მგრძანებლური ტონის შეგუება იმიტომ, რომ ამჩნევენ თურქეთისა და ისრაელის მიმართ ამერიკის უფრო ლოიალურ განწყობას.

ამანაც უბიძგა საუდის არაბეთს, რომ უკრაინისთვის გაეწია დახმარება, თუმცა, სამხედრო მხარდაჭერა გამორიცხა. საუდის არაბეთს იმედგაცრუება დაეტყო რუსეთის მიმართაც, რამაც შესაბამისი როლი ითამაშა მისი უკრაინისკენ შემობრუნებაში, განსაკუთრებით, ბოლოდროინდელი რუსულ-სპარსული თანამშრომლობის გამო.

საუდის არაბეთის უკმაყოფილება რუსეთის მიმართ უკრაინის შესახებ გაეროს ბოლო რეზოლუციის მიღების დროსაც გამოჩნდა: თუ ადრე, რეზოლუციის კენჭისყრისას, თავს იკავებდა, ახლა, პირიქით მოიქცა, ანუ ხმა უკრაინას მისცა.

კეკლუცი მამაკაცები ავიაციაში!..

გენდერული თანასწორობა მშვენიერი იდეაა, მაგრამ მისი პრაქტიკა, ეტყობა, უკვე ზომიერების საზღვრებს სცდება. ამერიკულმა ავიაკომპანიებმა, Delta, JetBlue, Virgin Atlantic და Alaska Airlines, მამრობითი სქესის ბორტ-გამცილებლებს ქალის უნიფორმის გამოყენების ნება მისცა.

Jet Blue-ს ერთ-ერთმა სტიუარდმა, გახარებულმა, ეს ამბავი Wall-Street-Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გააჟღერა. ასე თქვა, წინათ, სამსახურში თავდახრილი დავდიოდი, და დღეს, კაბა რომ მაცვია, უკეთესად ვგრძნობ თავს და უფრო თავდაჯერებულად ვიქცევიო. ღონისძიებას სხვა ავიაკომპანიებიც შეუერთდა, და არცაა გასაკვირი, რადგან, ისინი ლიბერალური NGO-ების წნეხისქვეშ არიან მუდმივად. მაგალითად, ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირს, უკვე, რამდენიმე წელია, ამ თემაზე, ავიაკომპანიებთან სასამართლო დავა აქვს. შემოსავლების დაკარგვის შიშით, არაერთი ავიაკომპანია დათანხმდა ახალი რეალობით მოტანილ პირობებს.

ზოგმა ავიაკომპანიამ მამაკაცის უნიფორმის გამოყენების ნება ქალებსაც დართო. მოკლედ, ჩვეულებრივ ამბად უნდა მივიჩნიოთ ისეთი თვითმფრინავით მგზავრობა, სადაც ბორტგამცილებელი კაცი ქალის ფორმაში იქნება გამოწყობილი და პირიქით. ზოგიერთმა ავიაკომპანიამ უარი თქვა მომსახურე პერსონალის ეკიპირების ასეთ ალტერნატივაზე, მაგრამ, ლიბერალების მიერ დაშინებულებმა, ფორმის ახალი მოდელი შექმნეს, გენდერულად ნეიტრალური. მოდის ექსპერტებმა დასცინეს ახალ უნიფორმას, ასეთი უშნო და უგემური არაფერი გვინახავსო. ეს უცნაური სიახლე კონსერვატორებმა დაგმეს. მათი აზრით, მგზავრისთვის მთავარია კარგი სერვისი და არა ქალის უნიფორმაში გამოწყობილი მამაკაცი, რადგან ბორტგამცილებელი კომპანიის სახეა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის გარეგან ეფექტს. ახლა კი, თვითმფრინავში, შეიძლება, ქალის ფორმაში ჩაცმული და ქალის ვიზაჟით მოკეკლუცე მამაკაცი იხილო. არ არის გამორიცხული, რომ ასეთმა სანახაობამ მგზავრზე ცუდად იმოქმედოს. ადამიანის სილამაზე ხომ, ყველაფერთან ერთად, გენდერული ესთეტიკური მოვლენაა!

სასიამოვნო სანახავია ლამაზი ქალმატონი თავისი მომხიბლავი ქალური გარეგნობითა და მანერით, და მამაკაცური შესახედაობისა და მიმოხვრის მქონე კაცი, და არა პირიქითო. რა ვიცი, ზოგს მიაჩნია, რომ ამაზე მსჯელობა შეიძლება, ზოგი კი, სრულიად კატეგორიულია თავის წარმოდგენაში ქალისა და მამაკაცის იერსახეზე.

ნუგზარ ბ. რუხაძე,
POSTV

მიხაკები

...ეზო-კართან ქერათმიანი გოგონა ცუგოს ეთამაშებოდა. ეზოში ჩვეულებრივი ხატა სუნთქავდა, ვრცელ ტრამალზე მარტოდმარტო მდგარი. ხელისგულისოდენა მიწაზე ბაღჩა-ბაღი გაეშენებია მზრუნველ ხელს და ეს პეიზაჟი დიდ და მრგვალ მაგიდაზე განფენილ თაიგულს ჰგავდა.

ამ აკანში მეორედ გახლდით.მაშინ შინმოუსვლელთა დედების პროცესიას ვახლდი და ამ ეზო-კარში მცხოვრები, ხანში შესული ცოლ-ქმარი უვლიდნენ ძმათა სასაფლაოს.

...ახლა ვარდივით მშვენიერი ასული ფუსფუსებდა ეზოში და მასავით მშენიერ ცუგოს ეგაასებოდა ჟღურტულით.

ნელა, ფეხაკრეფით მივუახლოვდი გოგონას და ცუგოს და ფოტოაპარატმომარჯვებულმა გახუმრება ვცადე.

– გინდათ, ჩიტი გამოფრინდეს ამ გალიიდან?

– თქვენ რა, ჩიტებზე ნადირობთ? ალმაცერად ამომხედა ქერათმიანმა და კითხვაზე კითხვითვე მიპასუხა. ცუგო სასაცილოდ აღრინდა და ჭიშკრის გისოსებში გამოჰყო დრუნჩი.

ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა. აღმოჩნდა, მე ერთი შეხედვით რომ მეგონა, მთლად ისე პატარა არ ყოფილა ეს ცისფერთვალება ანგელოზი. სარაფნიდან ოდნავ მზემოკიდებული მკლავები მოუჩანდა, რომელიც ნაზი, ძალიან ნაზი თითებით ბოლოვდებოდა. სლავურ სახეზე აქაიქ ჭორფლი მიმოებნია გამჩენს. თავიდან უკარება, ერთი უჯიათი ვინმე გეგონებოდა, მერე კი თავისი გულუბრყვილობით გაგაოცებდათ კიდეც.

– ჩვენ საქართველოს აფხაზეთიდან გახლავართ!.. შინმოუსვლელთა საფლავებს ვეძებთ ყირიმის მიწაზე!.. ქედი გვინდა მოვიხაროთ ამ სასუფეველში მყოფთა წინაშე!..

– მობრძანდით!.. უფალმა სიკეთით გატაროთ კეთილ გზებზე!.. აქ ქართველთა სულები გელოდებიან!

...ირგვლივ შიშველ ჰორიზონტს შემოეხაზა სივრცე!

მხოლოდ საფლავებს მიღმა ჩანდა თეთრი ხატა..

მე ამ ხატას იქით გზა არ მქონდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ არემარეში, სადმე ახლოს, მეორე ასეთი თავშესაფარი არ მეგულებოდა, მეორეც იმიტომ, რომ ამ დიდ ჰორიზონტზე ერთადერთი ეს ადგილი იყო, რომელიც მიხმობდა!

...დედ-მამა არ ახსოვდა ლერას (ასე ერქვა ცისფერთვალებას!). ომში დაჰკარგვოდა ისინი მაშინ, როცა ჯერ კიდევ ნახევარი წლისაც არ იყო! უპატრონოდ დარჩენილი, ძველმანებში გახვეული ბავშვი მარია გერასიმოვნამ შემთხვევით იპოვა ველზე და წამოიყვანა. წამოიყვანა და მას მერე დედაც ის იყო ლერასი და მამაც. ის იყო ერთადერთი ადამიანი მშობლებდაკარგული ბავშვისთვის, რომელთანაც შეეძლო, ეტირა გულამოსკვნით, ეცინა სულ პატარა რამეზე, თუნდაც იმაზე, როგორ მიათრევდა პაწაწკინტელა ჭიანჭველა მასზე სამჯერ დიდ ტვირთს. ერთხელ კი (მაშინ სულ პატარა იყო ლერა), მარია გერასიმოვნას ასეთი შეკითხვა დაუსვა:

– რატომ აქვს ათი თითი ადამიანს?..

არ ვიცი, რა უპასუხა ამ კითხვაზე მარია გერასიმოვნამ, მაგრამ ჩვენი გაცნობის საღამოს, როდესაც მზის ჩასვლისას „ოთხკუთხა სვეტის“ მხრიდან მოვედი, მთელი საათი ვიცინოდი ამ ამბის გახსენებაზე.

ასეთი იყო ლერა-ბავშვი! მაგრამ თუ წამით მაინც გაახსენებდით ომს, ჰკითხავდით რამეს მშობლებზე, მისი სევდიანი თვალები მოიქუფრებოდა და კიდევ თუ დააცდიდი ცოტას, ცრემლები დაუსველებდა ცისფერ, ლამაზ თვალებს. მაშინ ის ჰგავდა ზღვის ნაპირზე მდგარ ადამიანს, რომელმაც იქ, სადღაც, ლურჯი სივრცის შუაგულში საყვარელი ადამიანები დაკარგა და ელოდა როდის, როდის გაიმეტებდა ბობოქარი ტალღები მათ ნეშტს მაინც. ეს გასაგებიც იყო. ლერამ მშობლების სიყვარული არც იცოდა, რანაირი იყო. არასოდეს დაუძახია ვინმესთვის დედა, მამა. არავის უთქვამს მისთვის შვილო ისე, როგორც ამას ნამდვილი, ღვიძლი დედა ეტყოდა. არავის უწოვებია მისთვის ძუძუ და ყოველივე ამის ნაკლებობას ახლა გრძნობდა იგი.

მართალია, მარია გერასიმოვნა არაფერს აკლებდა შვილობილს, მაგრამ თუ რას ნიშნავდა, საკუთარი დედმამა ცხოვრების კარიბჭემდე რომ ვერ მიგაცილებს ადამიანს, მხოლოდ ლერამ იცოდა, მხოლოდ ლერამ! და რა გასაკვირი იყო თუ ცრემლები თავისდაუნებურად უვსებდნენ ლამაზ, ცისფერ თვალებს.

ეზოში ცისფერადვე გადახურული ფანჩატური იდგა. ფანჩატურქვეშ მდგარ ლამაზ სავარძელში სამი თუ ოთხი ადამიანი დაეტეოდა. აქედან ხელისგულივით გადაფენილი შავი ზღვა ჩანდა...

...მარია გერასიმოვნას ვთხოვე, აქ გაეშალა ჩემთვის კვახჩა.

ღამეული ცის ცქერით ვტკბებოდი. მოწყვეტილ ვარსკვლავთა გზებს ვადევნებდი თვალს. ხან კი მთვარის წინ ზანტად ჩავლილ ღრუბელთა ფთილებს ვუგზავნიდი საყვედურს. ჰორიზონტზე, მთვარის შუქზე კვლავ ჩანდა ოთხკუთხა, თეთრი სვეტი და იმ წლებს მახსენებდა, ჩემს საქართველოში, ჩემს პატარა სოფელში, ჩემი ეზოს უკან სანგრები რომ იყო გათხრილი და ადამიანები უშველებელ, ხორთუმიან მანქანებს დააგრიალებდნენ.

...დილით მარია გერასიმოვნამ გამომაღვიძა. ლერა ბაღში გასულიყო და მიხაკებს კრეფდა. მზე ის-ის იყო, ამოჰყვა ცისკრის ვარსკვლავს და თავის სირმაში გაახვია წინ გასული შიკრიკი.

...მიხაკები ნელა ავსებდნენ კალათს!

ლერამ მხოლოდ სამი სიტყვა თქვა:

– წამოდით, ქართველებს შეგახვედრებთ!..

თვალებში შევხედე. იქიდან ისევ ის ადამიანი შემომცქეროდა, რომელსაც უკიდეგანო ზღვაში დაჰკარგვოდა საყვარელი ადამიანები. კვლავ ჰორიზონტს გავაყოლე მზერა. ახლა სვეტი უფრო ნათლად ჩანდა, დილის ცვარში განბანილი ალიონი გამჭვირვალე იყო ძალიან.

– წადით!.. ნახეთ!.. – დუმილის შემდეგ ამოაგორა მარია გერასიმოვნამ და ფანჯრისკენ შებრუნდა.

ლერა მიხაკებით სავსე კალათით ხელში, უკვე გადიოდა კარებში. სტეპიდან მონაქროლი ნიავი უწეწავდა თმებს. მიხაკებით სავსე კალათი შეუდარებლად ნაზ, ლამაზ ხელებს ეჭირათ ახლა. მასავით ნაზ და სევდიან სივრცეს მიუყვებოდა ქალიშვილი. თავი გვერდზე გადაეხარა და მისი ნაღვლიანი თვალები უცქერდნენ იმ თეთრ სვეტს, რომელსაც ვუახლოვდებოდით, იმ თეთრ სვეტს, რომელიც ჰორიზონტზე იდგა და, რომლისკენაც ჩვენი ბილიკი მიდიოდა...

„თეთრმა ოთხკუთხედმა“ თანდათან ობელისკის სახე მიიღო და მოსულებს სევდიანი ძეწნები თავდახრილები დაგვხვდნენ.

მიხაკები საფლავის ქვაზე დააწყო ლერამ!

მარმარილოს თეთრ დაფაზე ოქროს ასოებით ამოეკვეთა ვიღაცას ქართველ გმირთა გვარ-სახელები!

მზეც შეჩერდა ერთხანს!

...აქ იჯდა!... – ხატის წინ მუხლებზე დაცემული მლოცველივით წარმოსთქვა ლერამ და მარჯვნივ მიაპყრო მზერა.

მას კვლავ ცრემლებით ჰქონდა თვალები სავსე.

ვინ-მეთქი, არ მიკითხავს!

– აქ იჯდა და გოდებდა!... არა, კი არ ტიროდა, გოდებდა! შავებით მოსილი ქალი უცრემლოდ მოსთქვამდა მწარე, დახშული ხმით, თითქოს ცრემლები გაშრობოდა უსაზღვრო მწუხარებისგან...

ჰყვებოდა ლერა და იდგა პოზაშეუცვლელი, თვალები ოდნავ მოეწკურა, რომ დაგუბებული ცრემლი კვლავ არ გადმოღვროდა ანაზდად.

...ათი ავტობუსი შეჩერდა იმ დღეს აქ!.. ორასამდე მოსწავლემ თაიგულებით შეამკო ძმათა საფლავი... ქართველები იყვნენ... ორიოდე სიტყვა მეც ვიცი ქართული... ერთი მაღალი, შავგვრემანი, ჭაღარა კაცი ამ ადგილებში ნამყოფი უნდა ყოფილიყო, მას გმირის ორდენი უმშვენებდა მკერდს. ობელისკთან თაიგული რომ დადო, თავი ვერ შეიკავა... ახალგაზრდები მდუმარედ კითხულობდნენ ობელისკზე ოქროს ასოებით ამოტვიფრულ გვარებს... ზოგი ფოტოაპარატს აჩხაკუნებდა, ზოგი იწერდა რაღაცას. ყველა ჩუმად აკეთებდა თავის საქმეს... იმ შავგვრემან კაცს, თაიგული რომ დადო საფლავის ქვაზე, გვერდით ქალი მოჰყვებოდა ხელჩაკიდებული, რომელიც მკაცრი, მტკიცე ნაბიჯებით მოემართებოდა ობელისკისკენ და ვერც იფიქრებდა ადამიანი, რომ მისი გუგებიდან უსიცოცხლო მზერა იცქირებოდა... ეტყობოდა, ბრმა იყო!... თავაწეული მოაბიჯებდა მაინც და მარჯვენა ხელში რაღაც ფუთა ეჭირა შავ მარმაშში სათუთად შეხვეული.

– აი, აქ, დეიდა ქეთევან!.. თქვა შავგვრემანმა და შეჩერდნენ. დეიდა ქეთევანმა თავისი სუსტი, აკანკალებული ხელებით გახსნა ფუთა და ძმათა სასაფლაოს კიდევ ერთი მუჭა ქართული მიწა შეემატა... ასეთი რამე აქ ხშირად ხდება, ხოლმე... მოდიან ქართველები და მოაქვთ ქართული პურ-ღვინო და ქართული მიწა... და ამით პატივს მიაგებენ მამულისთვის თავდადებულ მამულიშვილებს და არც მე და არც მარია გერასიმოვნას არ გაგკვირვებია ეს... ქართველებმა მწუხარებაც ძლიერი იცით და სიყვარულიც, მაგრამ... დღესაც იმ შავებში მოსილი, უსინათლო დედის სიტყვები ჩამესმის ყურში...

ლერა სვეტივით იდგა. მხოლოდ თავი დაეხარა და მიხაკებზე გაჰყინვოდა მზერა.

ისინი სისხლის წვეთებად გაღვრილიყვნენ თეთრ მარმარილოზე!

– ქალი დიდხანს, დიდხანს იდგა ობელისკთან!... – განაგრძნო ლერამ, – ...ხელები უმწეოდ ჩამოეშვა, თავშალი მხრებზე ჩამოსცურებოდა, ნიავი უწეწავდა თმებს. მისი თვალები ვერაფერს ხედავდნენ, მაგრამ მაინც იცქირებოდნენ შორს, იქით, ცის დასალიერს. ყველა მოწიწებით შეჰყურებდა მას!

– ...აქ იბრძოდა ჩემი შვილი!.. თქვა ოდნავ გასაგონი ხმით. შემდეგ იმ შავგვრემანს მიუბრუნდა. ხელი მკლავში ჩაავლო და ჰკითხა:

– ბევრნი არიან?...

– ბევრნი, ძალიან ბევრნი! უპასუხა შავგვრემანმა.

– წამიკითხე!.. აქ იბრძოდა ჩემი შვილიც! კვლავ გაიმეორა მან და ყველანი მიხვდნენ, რა სურდა უსინათლო დედას.

შავგვრემანი ხმადაბლა დაუყვა ჩამონათვალს, თითქოს ეშინიაო მყუდროების. შემდეგ ოდნავ აუწია ხმას. შემდეგ უფრო!.. ბოლოს ობელისკის თავზე გვირგვინად გადმომდგარ მზეს გაუსწორა მზერა და განაგრძო... განაგრძო თანამებრძოლთა გვარების ჩამოთვლა, რომელთა გვარები უკვე დიდი ხანი იყო, ზეპირად იცოდა... იცოდა, რომ ამ სიაში არ იყო ის გვარი, რომელთან შესახვედრად ჩამოიყვანეს აქ უსინათლო დედა! ჩამოიყვანეს, რომ „კეთილი“ ტყუილი ეთქვათ და დაემშვიდებინათ დაკარგული თვალის ჩინის გამო. მაგრამ ვერ შეძლო ეს ნაომარმა ვაჟკაცმა, ვერ შეძლო, ეთქვა, თითქოსდა, მადლიანი ტყუილი...

...უკანასკნელი გვარი არავის გაუგონია. ის შემზარავმა მოთქმამ ჩაახშო. უსინათლო დედა პირქვე დაემხო საფლავის ქვაზე. მისი სუსტი ხელები გაშმაგებით ებრძოდნენ რაღაცას, ეფერებოდნენ ცივ ლოდს, ფხაჭნიდნენ მიწას და ცრემლები ვერ შეაკავა მამაზეციერმა. დიდხანს გოდებდა დედა. შემდეგ, ფრთხილად აიყვანეს გულწასული და, აი იქ, შემოსასვლელთან, ლოდზე დასვეს... როცა გონს მოეგო, მკვდარი მზერა მიაპყრო ცას და მისუსტებული ხმით ამოაგორა შემზარავი სიტყვები გულიდან:

– ვაი, შენს დედას, შვილო!... ნუთუ, დაღუპულებშიც არ ურევიხარ, შვილო!... სადა ხარ, გიჭოო?... სად?... ასე უსახელოდ?... მეგონა, აქ მაინც იქნებოდი, სხვასთან ერთად!... შენი უკანასკნელი წერილი ხომ აქედან იყო, გიჭოო?... ვაი, თუ, შემარცხვინე, გიჭოო!...

შემდეგ ისევ წაერთვა გონება, კვლავ მიელია გული და გაჩუმდა. დიდხანს, დიდხანს იყო ასე, შემდეგ კი, სუნთქვას ამოაყოლა აზრი:

– არა!.. შენ ჩემი შვილი ხარ და ასე ვერ მოიქცეოდი, ვერა!.. ალბათ, სხვების შეუმჩნევლად მოგეყარა მიწა, მტერთან ჭიდილში გართულს!..

ლერას ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები ლოყებზე და ხმაშიც ცრემლიანი ბზარი დატყობოდა. შევხედე! არც უცდია, დაემალა გულაჩუყება. პირიქით, ცრემლიანი თვალებით შემომხედა და ქვითინითვე მითხრა:

– შვილის უსახელოდ დაკარგვას ტიროდა დედა... მამაჩემიც ასე დაიკარგა და დედაც... რა ბედნიერება ყოფილა, როცა საფლავი მაინც გეგულება სადღაც და იცი, რომ მისი ძვლები კაცურად მიებარა მიწას!..

...უკან მობრუნებისას, ტრამალებში გაკვალული ბილიკის ყოველ ნაბიჯზე იმ ქარცეცხლიან დღეებში მომხდარი ამბების ახალ-ახალ სტრიქონებს ვკითხულობდი თითქოს. ლერა კი წინ მიდიოდა ტანის ნაზი რხევით და ვგრძნობდი, თან მიჰქონდა მწარე და საშინელი კითხვა: სადა ხარ?



და მეც ჩემთვის, მხოლოდ ჩემთვის გავიფიქრე:

– თურმე სხვებსაც აწუხებთ ეს კითხვა!... და მარცხენა მკერდზე დავიდე მარჯვენა ხელი, სადაც, ამ აკანში დაღუპული მამის უკვე გაფერმკრთალებული სურათი მედო, რომლის ნაკვალევს მეც დავეძებდი ამ ტრამალებში.

...მიხაკები სისხლის წვეთებად დაღვრილიყო თეთრ მარმარილოზე!

ზაურ ფიფია

P.S.

როცა სოხუმში დავბრუნდით, ამ დოკუმენტური მოთხრობის აფხაზ მეგობრებში „გასაჯარიებას“ მოჰყვა სოხუმელი პოეტი ქალის ჯულიეტა ჯანჯღავას ლექსად თქმული გამოხმაურება:

ზაურს!... „მიხაკების“ გამო!“

„შენთვის სახსოვრად ეყიდა რამე,
საფლავში ჩაჰყვა დარდად,
შენ გახსოვს მამა?
ისეთი მამა, შენს მეტს არავის ჰყავდა!
მამის მოყოლილ ზღაპრებს და ამბებს,
აღარ უჩანდათ ბოლო,
თუ კი, სიცოცხლე უნდოდა მამას,
შენთვის უნდოდა მხოლოდ!
ტკივილი ერთი ზაფხულის ღამის,
გულზე დაგაწვა მძიმედ,
მაგრამ შენ შეგრჩა ღიმილი მამის,
შენ, მის ერთადერთ იმედს!“

ქ. სოხუმი, 4 დეკემბერი, 1965

ეჰ, რა დრო გასულა ჩემო აფხაზეთო, მას შემდეგ!.. რამდენი მოფერება და სიყვარული წაუღია სევდას!

...მხოლოდ ეს ლექსად თქმული სითბო მიმშვიდებს სულს დღემდე!.. მჯერა, დადგება კალანდა ისევ!

ზ. ფ.

◎ ოკეანის გალმა

ნატალიამ გვასახელა

ნატალია ოთხმეზურის აიონას უნივერსიტეტი Metro Atlamtic Athletic კონფერენციის ჩემპიონია. ეს გახლავთ სრულიად ამერიკის ქალთა სტუდენტურ ლიგაში შემავალი 32 კონფერენციიდან ერთ-ერთი, რომელშიც 11 საუნივერსიტეტო გუნდი მონაწილეობს და რომლის რეგულარული ჩემპიონატიც 20 მატჩიდან 18 გამარჯვებით ოთხმეზურის პარტნიორებმა მოიგეს.

რეგულარულის შემდეგ, ტრადიციულად პლეი ოფი ჩატარდა, რომელშიც 8 საუკეთესომ მიიღო მონაწილეობა და აიონას უნივერსიტეტმა მეოთხედფინალის, ნახევარფინალისა და ფინალის მოგებით კონფერენციის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

როგორც იცით, ოთხმეზურმა უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ აიონა ფინალში გავიდა. ქართველმა უკანახაზელმა სენტ მერის უნივერსიტეტთან 5 სამქულიანი და ჯამში 20 ქულა ჩააგდო, მისმა გუნდმა კი მეტოქე დრამატულ ბრძოლაში 67:66 დაამარცხა. ფინალი შედარებით მშვიდი გამოდგა – აიონამ მეტოქე მანჰეტენი 13 ქულის სხვაობით – 73:60 დაამარცხა და ჩემპიონი გახდა.

ფინალური მატჩის გმირი გახდა კეტიას ათეა, რომელმაც სამმაგი დუბლი მიითვალა – 11 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა. ქართველმა ლეგიონერმა 14 წუთი ითამაშა და ამჯერად 3 მოხსნას დასჯერდა. ამით ოთხმეზურის გუნდმა ჩემპიონის ტიტული ხომ მოიპოვა და ასევე მიიღო ქალთა სტუდენტური ლიგის პირველი დივიზიონის ფინალური ტურნირის საგზური, რომელმაც ამერიკის აბსოლუტური ჩემპიონი უნდა გამოავლინოს. NCAA-ის ჩემპიონატს ვაუეგში „მარტის სიგიჟე“ ეწოდება, გოგონებში კი იგივე მნიშვნელობის ტურნირს „დიდ ცეკვად“ მოიხსენიებენ. ასე რომ, ნატალია ოთხმეზური არის პირველი ქართველი გოგონა, რომელიც ამერიკის უმაღლეს სტუდენტურ ტურნირში იასპარეზებს. ქალთა NCAA-ის ფინალურ ტურნირში 32 კონფერენციის (348 წევრი) 68 საუკეთესო გუნდი ითამაშებს, რომელთაგან 32 კონფერენციის გამარჯვებულია, დანარჩენები კი რეიტინგით შერჩეული.

◎ პროტესტი

განა ასე აღვილია?

ქართველმა მუშკეტერმა სანდრო გაზაძემ ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია გააკრიტიკა.

მან სოციალურ ქსელში პროტესტი გამოხატა იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომლის თანახმად FIE-მ რუს და ბელარუს სპორტსმენებს ტურნირებში მონაწილეობის უფლება დართო. მართალია, ნეიტრალური დროშით, მაგრამ მაინც.

„უბრალოდ მინდა ვიცოდე, ეს სამყარო ასეთი უსამართლოა? FIE, არ შეიძლება ასე მოქცევა, როცა უდანაშაულო მავშვები და ადამიანები უმიზეზოდ იღუპებიან. და ასე მარტივად მიიღეთ ეს გადაწყვეტილება? გვერწმუნეთ, ჩვენ თქვენზე ძლიერები ვართ. ჩვენ არ დავუშვებთ ამას. ოლგა ხარლანის და უკრაინელ მოფარიკაველთა გვერდით ვარ“, – დაწერა გაზაძემ სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ რუსი და ბელარუსი მოფარიკაველები საერთაშორისო ტურნირებიდან 2022 წლის მარტში მოკვეთეს, თუმცა, ერთი წლის შემდეგ ეს აკრძალვა ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ გააუქმა.

◎ ტატამზე

ღირსეული ნადავლით

ზაგრებში გამართულ ევროპის თასზე კადეტთა შორის საქართველოს ნაკრების ძიუდოისტებმა 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

აღნიშნულ ტურნირზე ჯვაროსნებმა ყველა წონაში სპორტსმენთა მაქსიმალური რაოდენობა გამოიყვანეს, ამიტომაც ხორვატეთში 32-მა ჩვენებურმა იასპარეზა.

ტურნირის გამარჯვებულები თორნიკე გიგაური (-60კგ) და შოთიკო გოჩიაშვილი (+90კგ) გახდნენ. ვერცხლის მედლებს შოთა ბაჩოშვილი (-50კგ) და საბა გველესიანი (-90კგ) დაეუფლნენ. ხოლო ბრინჯაო გიორგი დულარიძემ (-66კგ) და ნიკოლოზ ზაალიშვილმა (+90კგ) მოიპოვეს. საქართველოს კადეტ ძიუდოისტთა ნაკრებმა საერთო ჯამში 6 მედალი მოიპოვა და მე-2 ადგილი დაიკავა. ქართველები მხოლოდ აზერბაიჯანელებს ჩამორჩნენ.

◎ ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

გვადალუპეს უჯობნია

საქართველოს ხელმძღვანელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა საკონტინენტთაშორისო თასზე ბოლო შეხვედრა ჩაატარა. გიორგი გვაზავას გუნდი ნიგერიას შეხვდა და დრამატული მატჩი 27:26 მოიგო.

გამარჯვების მომტანი ბურთი ბოლო წამებზე სანდრო დარსანიამ გაიტანა, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე კი გიორგი არეშიძე გახდა.

19-წლამდელთა ნაკრებმა ოქტომბერში ევროპის თასი მოიგო, კოსტა რიკაში გამართული ტურნირი კი 3 გამარჯვებითა და 1 მარცხით, მეორე ადგილზე დაასრულა, რის შედეგადაც პლეი-ოფში გადაინაცვლა და პლანეტის პირველობაზე გასვლის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს. ჩვენ ჯგუფში პირველ ადგილზე გვადალუპე გავიდა, რომელმაც ხორვატეთში, თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

◎ რეკორდი

ლეგენდას გაუსწრო

ლეგენდარული შვედის, ინგემარ სტენმარკის მიღწევის გამეორებიდან სულ რაღაც ერთ დღეში, ამერიკელმა სამთო მოთხილამურემ, მიკაელა შიფრინმა, კიდევ ერთი რბოლა მოიგო და აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა. მის ანგარიშზე ახლა უკვე მსოფლიო თასზე მოპოვებული 87 გამარჯვებაა.

27 წლის შიფრინმა ამჯერად, შვედეთის არეში, სლალომის რბოლა მოიგო. ეს მსოფლიო თასზე მისი 245-ე რბოლა იყო. არე ის ადგილია, სადაც მან 2012 წელს, მსოფლიო თასზე პირველი გამარჯვება მოიპოვა.

„ის ამ რეკორდს, ყველაზე მეტად იმსახურებდა. მიკაელა სრულყოფილი მოთხილამურეა. მას კარგი ტექნიკა აქვს, მაგრამ ეს ყველაფერი არაა. მას ასევე აქვს ფიზიკური გამძლეობა და ჭკვიანი თავი. ეს ყველაფერი ჯამში, მას საუკეთესო ათლეტად აყალიბებს. მას არ სჭირდება მაქსიმალური სიჩქარე. მან იცის, რომ სხვებს შესაძლებლობის მიღმა ასპარეზობა უწევთ, რათა მისი დამარცხება შეძლონ და ამიტომ, შეცდომებს უშვებენ“, – ასე ახასიათებს შიფრინს სტენმარკი, ვინც თავისი 86-ე გამარჯვება 1989 წელს მოიპოვა.

შიფრინი პირველი ცდის შემდეგ, უახლოეს კონკურენტს 0.69 წამს უგებდა, ორი ცდის ჯამში კი მეორეზე გასულ შვეიცარიელ ვენდი ჰოლდენერს 0.92 წამით აჯობა. კვარცხლბეკის მესამე საფეხური შვედმა ანა სვენ ლარსონმა დაიკავა, ვინც გამარჯვებულზე 0.95 წამით ნელი აღმოჩნდა.

შიფრინს მისი ოჯახის წევრებმა სიურპრიზი მოუწყვეს – როდესაც ფინიში გადაკვეთა, მან მოულოდნელად, დედა (ეილინი), ძმა (ტეილორი) და მისი მეუღლე (კრისტი) დაინახა.

მიმდინარე სეზონი შიფრინისთვის უხვმოსავლიანია. არეში შიფრინმა მსოფლიო თასზე მე-13 გამარჯვება მოიპოვა. გარდა ამისა, უკვე განაღდებული აქვს ბროლის გლობუსები სლალომსა და გიგანტურ სლალომში, ასევე დიდი გლობუსი (კარიერაში მეხუთე) ამსოლუტურ ჩათვლაში. მანვე წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე, ოქროს მედალი გიგანტურ სლალომში მოიპოვა, სლალომსა და სუპერგიგანტში კი ვერცხლის მედლებს დაეუფლა.

შიფრინს გუშინ 28 წელი შეუსრულდა და ამ სეზონში საქმე ჯერ არ დაუმთავრებია, რადგან ანდორაში, მსოფლიო თასის ფინალურ ოთხ რბოლაში მიიღებს მონაწილეობას.

◎ ნაცნობი ფირფიტა

თურმე ცენზურა ევროპაშიც ცენზურაა

ბრიტანეთის საზოგადოებრივი სამაუწყებლო კორპორაცია „ბიბისი“ სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა, მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის მთავრობის მიგრაციული პოლიტიკის მიმართ გამოქვეყნებული კრიტიკული პოსტის გამო სპორტული გადაცემის წამყვანი გადაცემას ჩამოაშორა.

საუბარია ფეხბურთელზე და გადაცემა Match of the Day-ის („დღის მატჩი“) წამყვან გარი ლინეკერზე. ამჟამად მისი მხარდამჭერები „ბიბისის“ ბოიკოტს უცხადებენ და უარს ამბობენ მედიაკორპორაციის პროგრამებში მონაწილეობაზე.

გასულ კვირას სახელოვანმა ფეხბურთელმა და ცნობილმა კომენტატორმა ლა მანშის სრუტის გავლით ქვეყანაში ჩასული მიგრანტების მიმართ ბრიტანეთის მთავრობის მიდგომა 30-იანი წლების გერმანიის რიტორიკას შეადარა.

კერძოდ, ლინეკერმა უკანონო მიგრაციის შესახებ კანონპროექტს უწოდა **„წარმოუდგენლად სასტიკი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ყველაზე დაუცველი ადამიანების წინააღმდეგ და არაფრით განსხვავდება გერმანიის მიერ 30-იან წლებში გამოყენებული ენისგან“.**

აღნიშნული განცხადების გამო ლინეკერი მაუწყებლის მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევაში დაადანაშაულეს და ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, დროებით ჩამოაშოროს ის პოპულარულ ყოველკვირეულ გადაცემას.

„ბიბისიმ“ განაცხადა, რომ სოციალურ ქსელებში ლინეკერის ბოლო აქტივობას ქცევის წესების დარღვევად აფასებს და აღნიშნავს, რომ წამყვანი უნდა მოერიდოს პარტიულ პოლიტიკურ საკითხებს ან პოლიტიკურ დავებს.

„ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ გარის არ უნდა გააჩნდეს საკუთარი მოსაზრება მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, თუმცა ჩვენ ვამბობდით, რომ მან თავი უნდა შეიკავოს ამა თუ იმ პოზიციის დაკავებისგან ისეთ საკითხებზე, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს ან რეზონანსულ პოლიტიკურ დავებს ეხება“, – აღნიშნულია „ბიბისის“ განცხადებაში.

აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ, შაბათს გადაცემა Match of the Day შემოკლებული ფორმატით, წამყვანის გარეშე გავიდა ეთერში, მისი ხანგრძლივობა 20 წუთს შეადგენდა, ასევე გაუქმდა სხვა საფეხბურთო ტრანსლაციები და გადაცემები მას შემდეგ, რაც წამყვანებმა და კომენტატორებმა გარის სოლიდარობა გამოუცხადეს.

„ბიბისისთან“ ინტერვიუში ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა, ტიმ დეივიმ ბოდიში მოუხადა გადასახადების გადამხდელებს სპორტული პროგრამების ტრანსლირების შეჩერებისთვის. დეივიმ აღიარა, რომ ეს კორპორაციისთვის რთული დღე იყო, თუმცა აღნიშნა, რომ მაუწყებელი აქტიურად მუშაობს სიტუაციის მოსაგვარებლად. „ბიბისის“ ხელმძღვანელი ასევე უარყოფს მთავრობის მხრიდან ზეწოლას.

„წარმატება ჩემთვის არის გარის დაბრუნება ეთერში და მაყურებლისთვის მსოფლიო კლასის სპორტის გაშუქების ერთად შეთავაზება, რომლის უზრუნველყოფაც ჩვენ, როგორც ვთქვი, ვწუხვარ, რომ ვერ შევძელით დღეს“, – განაცხადა დეივიმ.

ილოცეთ, ბიჭებო, მამულის გადასარჩენად!

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ტერიტორიაზე დავით აღმაშენებლის სახელოვნის ახალი ტაძარი გაიხსნა.

ღონისძიებას თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, თავდაცვის უწყებისა და ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. ტაძარი გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრია გვაზავამ აკურთხა, რის შემდეგაც წმინდა ჟამის წირვა აღევლინა. დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში წმინდა მეფის სახელობის ტაძარი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ეროვნული თავდაცვის აკადემიის ერთობლივი ინიციატივითა და ძალისხმევით, ასევე პირადი შემადგენლობის ჩართულობით აშენდა.

ნუ ჩაერევით ტაივანის საკითხში!!!

ჩინეთის ლიდერის სი ძინპინის განცხადებით, ჩინეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ტაივანის საკითხში საგარეო ჩარევას და კუნძულის დამოუკიდებლობისკენ მიმართულ სეპარატისტულ ქმედებებს. ამის შესახებ სი ძინპინმა ქვეყნის პარლამენტის პირველი სესიის დახურვის ცერემონიაზე განაცხადა.

„ჩვენ მტკიცედ უნდა დავიცვათ ჩინეთის პრინციპი და ასევე 1992 წლის კონსენსუსი. ენერგიულად ხელი უნდა შევუწყოთ ურთიერთობების მშვიდობიან განვითარებას. მტკიცედ ვეწინააღმდეგებით საგარეო ჩარევას და სეპარატისტულ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია ტაივანის დამოუკიდებლობისკენ, – აცხადებს სი ძინპინი. მისივე თქმით, აუცილებელია სამშობლოს გაერთიანების პროცესის სტაბილურად ხელშეწყობა. ჩინეთი მიიჩნევს, რომ ტაივანი სეპარატისტული პროვინციაა, რომელიც საბოლოოდ კვლავ პეკინის კონტროლის ქვეშ მოექცევა, თუმცა, ტაივანი თავს დამოუკიდებელ ქვეყნად აცხადებს, რომელსაც თავისი კონსტიტუცია და დემოკრატიულად არჩეული ლიდერები ჰყავს.

ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა არაერთხელ თქვა, რომ ტაივანი ჩინეთს შეუერთდება და ამ მიზნის მისაღწევად ძალის გამოყენებაც არ გამოირიცხება. ტაივანი არის კუნძული, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთის სანაპიროდან დაახლოებით 160 კილომეტრით არის დაშორებული. თუ ჩინეთი ტაივანის ხელში ჩაგდებას დააპირებს, ზოგიერთი დასავლელი ექსპერტი ვარაუდობს, რომ იგი უფრო თავისუფლად იმოქმედებს წყნარი ოკეანის დასავლეთ რეგიონში ძალაუფლების მოპოვებისთვის და შესაძლოა, გუამსა და ჰავაიში მდებარე აშშ-ის სამხედრო ბაზებს დაემუქროს, მაგრამ ჩინეთი ამტკიცებს, რომ მისი განზრახვები მშვიდობიანია.

საგრანტო კონკურსი ევროკავშირმა

საქართველოში 9 მლნ ევროიანი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა

ევროკავშირმა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. პროგრამის მიუჯეტი 9 200 000 ევროა.

წარდგენილი განაცხადი უნდა ემსახურებოდეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, გენდერულ თანასწორობას, სამოქალაქო ჩართულობის გაზრდას, სურსათის უვნებლობას, გარემოს დაცვას და სხვა საკითხებს.

ვიწვევთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, როგორც მმართველობის სფეროს მნიშვნელოვან აქტორებს, საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, შემდეგი მიმართულებით:

ლოტი 1: ხელი შეუწყოს ხელსაყრელ საარჩევნო გარემოს და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას საქართველოში;

ლოტი 2: აღმოფხვრას გენდერული ნიშნით ძალადობა და გაზარდოს გენდერული თანასწორობა საქართველოში;

ლოტი 3: ხელი შეუწყოს ქვეყნის მასშტაბით სამოქალაქო ჩართულობას და დემოკრატიულ ზედამხედველობას საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე;

ლოტი 4: ხელი შეუწყოს საქართველოში სურსათის უვნებლობას ადგილობრივ დონეზე საკვების ნარჩენებისა და დანაკარგების შემცირების გზით;

ლოტი 5: გააძლიეროს გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა;

ლოტი 6: გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობა და აამაღლოს მოქალაქეთა ცნობიერება სასამართლო რეფორმის შესახებ;

ლოტი 7: გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის, დეცენტრალიზაციისა და საჯარო ანგარიშვალდებულების მონიტორინგსა და განხორციელებაში, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე;

სრული სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: htt.//bitly/3T5mv72, რეფერენსი: EuropeAidl/176767/DD/ATC/GE.

კონცეფციის წარდგენის ბოლო ვადაა: 24/04/2023, 12:00 (ბრიუსელის დროით).

პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გამოავლინა!

უცხო ქვეყნის მოქალაქეების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა სამი ფიზიკური პირის მიმართ დაიწყო.

გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოსა და ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებმა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კომუნიკაცია დაამყარეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან და მომგებიანი ინვესტიციის და მომსახურების გაწევის ცრუ პირობებით, ათეულობით ათასი ლარის ეკვივალენტი უცხოური ვალუტა, სწრაფი ფულადი გზავნილების სახით მოტყუებით გადმოარიცხინეს საქართველოში ერთ-ერთი მრალდებულის სახელზე, რასაც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ.

შემდგომში მრალდებულებმა აღნიშნული თანხები, მათთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, განათავსეს პირად საბანკო ანგარიშებზე და დანაწევრებით განახორციელეს ტრანზაქციები, მათ შორის უკანონოდ მიღებული თანხებით შეიძინეს ძვირადღირებული ავტომობილები, რა გზითაც დაახლოებით 647 000 ლარის უკანონო და დაუსაბუთებელი შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინეს.

გამოძიების მიერ, სასამართლოს განჩინებების საფუძველზე, დაყადაღებულია მრალდებულების სახელზე რეგისტრირებული 360 000 ლარის ღირებულების სამი ავტომანქანა. დაყადაღებული ქონების ჩამორთმევის მიზნით, პროკურატურის მიერ შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები გატარდება.

საქართველოსა და ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებს მრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 194-ე მუხლებით, ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე და 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბათუმში უბედურმა შემთხვევამ მოზარდი იმსხვერპლა!

ბათუმში უბედური შემთხვევის შედეგად 10 წლის ბავშვი დაიღუპა. იგი ახალ ბულვარში დაშავდა. მოზარდი კლინიკაში გარდაიცვალა. შემთხვევა გუშინ, საღამოს მოხდა. ძლიერმა ქარმა ბათუმის ბულვარში ბატუტზე მყოფი ბავშვები გაიტაცა და დააზიანა. კიდევ ერთი დაშავებული ბავშვი დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრში არის მოთავსებული. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

დიდი ბრიტანეთი თავდაცვით ხარჯებს გაზრდის

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რიში სუნაკის განცხადებით, მომდევნო ორი წლის განმავლობაში თავდაცვის ხარჯები 6 მილიარდი დოლარის ოდენობით გაიზრდება. 2021-2022 წლებში ბრიტანეთის თავდაცვის ხარჯებმა 71,4 მილიარდი ფუნტი შეადგინა.

პრემიერის ოფისში აცხადებენ, რომ სამხედრო მიუჯეტის გაზრდის პუნქტი აისახება გაერთიანებული სამეფოს უსაფრთხოების, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის ყოვლისმომცველი მიმოხილვის განახლებულ ვერსიაში, რომელიც 13 მარტს გამოქვეყნდება. 3 მილიარდი ფუნტი მიმართული იქნება ბირთვული შეკავების ძალების განვითარებაზე, დარჩენილი თანხის ნაწილი კი უკრაინაში გადაცემული საბრძოლო მასალისა და იარაღის მარაგის შევსებას მოხმარდება.

ჩრდილოეთ კორეამ დაუდგენელი ტიპის რაკეტა გაუშვა

ჩრდილოეთ კორეამ წყალქვეშა ნავიდან ამოუცნობი რაკეტა გაუშვა, – ამის შესახებ Yoenhap სამხრეთ კორეის გაერთიანებული შტაბის უფროსებზე დაყრდნობით იტყობინება. რაკეტის გაშვება, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კორეის პროტესტია სამხრეთ კორეისა და აშშ-ის კიდევ ერთი ერთობლივი სამხედრო წვრთნების წინააღმდეგ, რომელიც მიმდინარე კვირაში დაიწყება.

რაკეტის უახლესი გაშვება მოხდა მოკავშირეთა ძირითადი წვრთნების წინ, რომელიც 13 მარტს იწყება.

საფრანგეთის სენატმა საპენსიო რეფორმა დაამტკიცა

საზოგადოებრივი პროტესტის მიუხედავად, საფრანგეთის სენატმა საპენსიო რეფორმა დაამტკიცა. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა 195-მა დეპუტატმა, წინააღმდეგ კი ხმა 112-მა დეპუტატმა მისცა.

ემანუელ მაკრონის მიერ ინიცირებული რეფორმა საპენსიო ასაკის 64 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს. საპენსიო რეფორმას პარიზსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში ასობით ათასი ადამიანი აპროტესტებს.



ქართველი მომღერალი და მსახიობი ლეგენდარული დევიდ ბოუის როლში

დეივიდ როგერტ ჯოუნსის შესახებ (მევრისთვის სასცენო სახელით ცნობილი „დევიდ ბოუი“), მოკლემეტრაჟიან ფილმს გადაიღებენ, რომელშიც მომღერლის როლს იტალიაში მოღვაწე ქართველი ლუკა ჩიქოვანი შეასრულებს.

პუბლიკამ ლუკა აქამდე მევრ ფილმში იხილა, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოჩენა, რომლითაც ლუკა ფართო საზოგადოებამ უკეთ გაიცნო, ეს არის ფილმი „House Of Gucci“, სადაც მთავარ როლებს ლედი გაგა და ადამ დრაივერი ასრულებენ.

ლუკა 8 წლიდან რომში ცხოვრობს და საკმაოდ პოპულარულია ახალგაზრდებში. რაც შეეხება მის მუსიკალურ მიღწევებს, კარიერის პირველ ეტაპზე ის სოციალურ ქსელებში სხვა პოპულარული მომღერლების ქავერების შესრულებით გახდა ცნობილი. დღეს კი ჩვენებურ ახალგაზრდას „სან-რემოს“ ფესტივალზეც ეპატიჟებიან და ჟურნალ ELLE-ში ვენეციის 77-ე კინოფესტივალის ყველაზე ლამაზ მონაწილეთა სიაშიც ასახელებენ. ფილმი „Ground Conter“ კონცენტრირებული იქნება დევიდ ბოუის შინაგან სამყაროზე, მასკულინურ და ფემინურ მხარეებზე, რაც ნაკლებად იყო ნაჩვენები მის შესახებ გადაღებულ უამრავ დოკუმენტურ ფილმებში. წარმატებები გვინდა ვუსურვოთ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ქართველ მომღერალსა და მსახიობს.

დავითას უცნაური თავგადასავალი ჯადოსნურ სამყაროში

10 მარტიდან ქართველ მაყურებელს პირველად, ძალიან მაღალი ხარისხის ქართული 2D ანიმაციის სერიალის „სხვა ლეველის ოდისეის“ ხილვის შესაძლებლობა აქვს. ამმავი 17 წლის დავითას გარშემო ვითარდება – მაყურებელი მასთან ერთად იხილავს ჯადოსნურ სამყაროს, ძალიან უცნაური მინადრებითა და ფიზიკის დაუწერელი, განსხვავებული კანონებით – სამყაროებს, სადაც საპნის ბუშტს შეიძლება ნემსი უყვარდეს, ხოლო ბუშტები თავისუფლებისთვის იბრძოდნენ.

ამ საინტერესო ამბავთა ციკლი კი იმით დაიწყო, რომ ერთ დღესაც, თბილისი მიწისძვრამ შეაზანზარა, დავითამ კი დაკარგული მამის წერილს სრულიად შემთხვევით მიაგნო. მას შემდეგ რა მოხდა, როგორ გაიხსნა პორტალი და როგორ ფერად სამყაროებში მოუწია მოგზაურობა ანიმაციის გმირს – ამას უკვე Cavea+-ზე სრულიად უფასოდ შეძლებთ. „სხვა ლეველის ოდისეა“ 4 სეზონისა და 40 სერიისგან შედგება და საქართველოში ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით Demlab, იგივე დემოკრატიის ლაბორატორია მზადდება.

ღირს კი ამგვარი მსხვერპლი სილამაზისთვის?

ეს საგანგაშო კვლევა ცოტა ხნის წინ გასაჯაროვდა. მეცნიერები 11 წელი იკვლევდნენ ზრდის თუ არა სიმსივნური უჯრედების განვითარების რისკს ქიმიური ნაერთები, რომელსაც თმის საღებავი შეიცავს. დასკვნა შემაშფოთებელი და ძალიან საყურადღებოა მით უმეტეს, მაშინ, როცა ადამიანები ძალიან ხშირად მოიხმარენ საღებავს თან ისე, რომ არც კითხულობენ მის შემადგენლობას.

კვლევით დადასტურდა, რომ ძალიან ცნობილი ბრენდების მიერ წარმოებულ თმის მოვლის პროდუქტებსაც ტოქსიკური შემადგენლობა აქვს. ეს პროდუქტები საქართველოშიც წლებია გაყიდვაშია და ათასობით ადამიანი მოიხმარს. მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიაში ჩატარებულ საგანგაშო კვლევას უკვე მოჰყვა გამოხმაურება საქართველოში. სილამაზის სალონების ფედერაციამ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად მუშაობა დაიწყო. კვლევა დასრულებული არ არის. სპეციალისტებმა უნდა დაადგინონ ყველაფერი საღებავების შემადგენლობასთან და აქედან გამომდინარე საფრთხეებთან დაკავშირებით. თმის ქიმიურ გასწორებას საშვილოსნოს კიბოს გამოწვევა შეუძლია. ეს კი საგანგაშო მაჩვენებელია იმ ქალების შემთხვევაში, რომლებიც ამ მეთოდს წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ მაინც მიმართავენ. მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ საშვილოსნოს კიბოს განვითარების რისკი 155-ჯერ შეიძლება გაიზარდოს.

რეგულაციის არარსებობა საფრთხეებს კიდევ უფრო მეტად ზრდის. კვლევა ჯერ კიდევ გრძელდება, ამიტომ არავინ იცის. როგორი იქნება შედეგები რამდენიმე წლის შემდეგ.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

ილონ მასკი ტეხასში საკუთარი ქალაქის აშენებას გეგმავს

Tesla-სა და SpaceX-ის დამფუძნებელი ილონ მასკი ტეხასის შტატში საკუთარი ქალაქის აშენებას გეგმავს. არსებული ინფორმაციით, ეს იქნება მდინარე კოლორადოს ნაპირზე მდებარე ქალაქი, რომელშიც მასკის საკუთრებაში არსებული კომპანიების თანამშრომლები იცხოვრებენ და იმუშავებენ.

ქალაქის სახელწოდება სნეილბრუქი (Snailbrook) იქნება. ქალაქის მახლობლად უკვე შენდება კომპანია Boring-ისა და SpaceX-ის ობიექტები. ქალაქის გეგმაში გათვალისწინებულია საცურაო აუზი, ღია სპორტული მოედანი და სავარჯიშო დარბაზი. პროექტით ასევე გათვალისწინებულია კერძო საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა თავად ილონ მასკისთვის, რომელიც ქალაქიდან ცოტა მოშორებით აშენდება. ტეხასის კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსის მისაღებად ქალაქში სულ მცირე 201 ადამიანი უნდა ცხოვრობდეს.

„ოსკარის“ 2023 წლის გამარჯვებულები დასახელდნენ

ლოს ანჯელესში ოსკარის დაჯილდოების 95-ე ცერემონია გაიმართა. საღამოს ტრიუმფატორი **დენიელ კვონისა** და **დენიელ შეინერტის** ფილმი **„ყველაფერი ყველგან ერთდროულად“** გახდა, რომელმაც ამერიკის კინოაკადემიის მთავარი ჯილდო 7 ნომინაციაში, მათ შორის, საუკეთესო ფილმისა და საუკეთესო რეჟისურის ნომინაციაში მოიპოვა.

კაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად **ბრენდან ფრეიზერი** დასახელდა („ვეშაპი“). ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის კი ოსკარი **მიშელ იეოს** გადაეცა („ყველაფერი ყველგან ერთდროულად“). მეორეხარისხოვანი როლების კატეგორიებში **ჯემი ლი კერტისმა** და **კე ჰიუ ქუანმა** („ყველაფერი ყველგან ერთდროულად“) გაიმარჯვეს. დოკუმენტური ფილმების კატეგორიაში გაიმარჯვა რუს ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნიზე გადაღებულმა ფილმმა „ნავალნი.“ ცერემონიას პატიმრობაში მყოფი ოპოზიციონერის ცოლი იულია ნავალნაიაც დაესწრო.

აშშ-ში „სილიკონ ველი ბანკი“ გაკოტრდა

აშშ-ის სიდიდით მე-16 ბანკი მას შემდეგ გაკოტრდა, რაც მეანაბრეებმა – ძირითადად ტექნოლოგიების სფეროს წარმომადგენლებმა და სარისკო კაპიტალით მხარდაჭერილმა კომპანიებმა – გასულ კვირაში ბანკიდან ფული საჩქაროდ გაიტანეს. ბანკის ბოლო მცდელობები ახალი თანხების მოპოვებისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. ამიტომ აშშ-ის ხელისუფლებამ ოფიციალურად დაისაკუთრა ბანკი და მისი მართვა ანდო გარანტირებულ დეპოზიტებზე პასუხისმგებელ აშშ-ის სააგენტოს – დეპოზიტების დაზღვევის ფედერალურ კორპორაციას.

„სილიკონ ველი ბანკი“ ე.წ. სტარტაპებს აფინანსებდა და აშშ-ში აქტივების ზომით ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი გახდა: 2022 წლის ბოლოს მას ჰქონდა 209 მილიარდი დოლარის აქტივები და დაახლოებით 175 მილიარდი დოლარის დეპოზიტები. გასულ კვირაში ოთხმა უმსხვილესმა ამერიკულმა ბანკმა 52 მილიარდი დოლარი დაკარგა საფონდო ბაზარზე. მათ შემდეგ ჯერ – აზიურმა და მერე ევროპულმა ბანკებმაც განიცადეს ზარალი. აშშ-ის ხაზინის მდივანი ამბობს, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს მარეგულირებლებთან, რათა დაეხმაროს მეანაბრეებს საბანკო კრიზისის შიშის გამო.

ძლიერი შტორმი კალიფორნიაში

კალიფორნიაში ძლიერი შტორმის შედეგად მონტერეის დასახლებული რაიონები დაიტბორა.

წყალდიდობამ 1 700-ზე მეტი მცხოვრები დააზარალა. სტიქიის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჟურნალ-გაზეთი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 16 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5925; ევრო - 2.7460;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1066;
100 რუბლი - 3.4127; თურქული ლირა - 0.1367;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5250;
1000 სომხური დრამი - 6.6803

ამინდი 14 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+18
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+20
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge